1988/2

ЗНАК ПОЧЕТА

ჯარისკაცი

2
1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსს კითხულობს თამრიკო თუშიშვილი

თაობები

ნინო ხარაზიშვილი

დავით იაკობაშვილის ფოტო

შინ დაბრუნებული კაცი კარს დანდობილად რომ შეაღებს და იცის, რომ იქ აუცილებლად ყველაზე ახლობელი ადამიანი დახვდება, ისე შემოვიდა თითოეული მათგანი პიონერთა ოთახში. უცებ შეიქმნა ის მათთვის ჩვეული შინაურული ატმოსფეროც. გულნაზ ხელმძღვანელმა მაშინვე მიანება თავი მაგიდის უჯრაში ქაღალდების ძებნას და თავისი ყოჩაღი პიონერების მოსაზრებებისა და წინადადებების მოსასმენად მოემზადა.

ყოჩაღი პიონერები ჰყვანანო, — აკი კომკავშირის თელავის რაიკომში, აქ მოსვლამდეც გვითხრეს, მაგრამ შთაბეჭდილებამ მაინც გადააჭარბა წარმოსახულს. დავიწყოთ აქტივისტებით. თელავის მე-6 საშუალო სკოლის (დირექტორი დოდო კიკნაძე) პიონერთა ოთახი უიმათოდ ხომ წუთითაც არ რჩება. მოდით, სათითაოდ მოვუსმინოთ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს ნინო სოზაშვილს, „ცისკრის“ სასკოლო შტაბის მეთაურს ზაქრო სუმბაძესა და უფროს პიონერხელმძღვანელს გულნაზ პაპუნაშვილს; გადავფურცლოთ მათ მიერ საფუძვლიანად ღამუშავებული პიონერთა IX საკავშირო შეკრების მასალები, ყური მივუგდოთ უკვე ხორცშესხმულ და ხორცშესასხმელ მათსავე იდეებს და, რაც მთავარია, IX შეკრების კვალდაკვალ შექმნილ „გარდაქმნის აქტივისტის გამოსავლინებელი კომისიის“ ჟურნალში თვალი გავადევნოთ აქ უკვე შეტანილ, გამორჩეულად აქტიურ პიონერთა გვარებს...

იქამდე კი აი, კიდევ რა გვინდა გითხრათ: პიონერთა IX საკავშირო შეკრების შემდეგ მოწვეულ რაზმეულის პირველსავე შეკრებაზე მე-6 სკოლელებმა ერთი კარგი საქმეც გააკეთეს — დემოკრატიის პრინციპის სრული დაცვით, მათ „უფროსი პიონერის“ წოდება მიანიჭეს რაზმეულის 16 პიონერს... ამაზე საუკეთესო რეკომენდაცია რაღა უნდა იყოს საკავშირო კომკავშირის რიგებში შემსვლელებისათვის... რაზმეულის დღევანდელ განწყობილე-

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

ჰიონერი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა **2 თებერვალი 1988**

ბაში იგრძნობა, რომ ეს საპატიო წოდება უკვე არის ის კონკრეტული მიზანი, რომელიც ყველაზე პასიურ პიონერებსაც არაერთ კარგ საქმეს წამოაწყებინებს.

მისაბაძი მაგალითი კი საკმაოდ უხვად აქვთ ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის ამ პიონერულ რაზმეულში. პიონერთა სურვილი, იყვნენ უფრო ინიციატივიანები და დამოუკიდებელნი, აქ ფუჭ სურვილად არ რჩება. რაკი ერთხელ გადაწყვიტეს, სიახლესა და თითოეული პიონერის პირად ინიციატივას მეტი გასაქანი მივცეთო, საქმეში სხვა ამაზე უფრო დიდი ხელშემწყობი არც დასჭირვებიათ. ასე დაიბადა სკოლაში პიონერული თეატრი „კარლსონი" — ნორჩი რეჟისორით (ნინო სოზაშვილი), ნორჩი სამხატვრო ხელმძღვანელითა (ნინო ხვთისიაშვილი) და ნორჩი მოყვარული მსახიობებით. თეატრის „დასის" შესარჩევი კონკურსები („გამოცდებად" მონათლული) უმკაცრესად ჩაატარეს. პირუთვნელი „ჟიურის" წინაშე მოუხდა თავისი თეატრალური მონაცემების დემონსტრირება მსახიობობის მსურველ ყველა პიონერს. დასის დაკომპლექტების საქმე რომ მოაგვარეს, ახლა რეპერტუარზე ზრუნვა დაიწყეს. აქაც კონკურსის ფორმა შეეშველათ. ჩვენც გაგვიგია, საიდუმლოს შენახვა უყვარსო, მაგრამ, ვფიქრობთ, თელაველი პიონერები არ დაგვემდურებიან, თუ მათი ინსცენირებული ზღაპრების სასკოლო კონკურსის ერთ „იდუმალებით მოცულ" დეტალს საქვეყნოდ გავამხელთ: ამ კონკურსის მთელი სილამაზე იმაშია, რომ სპექტაკლისთვის ყველა პიონერული რაზმი საიდუმლოდ ირჩევს რაიმე ზღაპარს და მისი მიხედვით წერს პიესას სპექტაკლისთვის. სასკოლო კონკურსში გამარჯვება კი ხუმრობა საქმე როდია, ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ გამარჯვებული სპექტაკლი, თანასკოლელების გარდა, თელავის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებსაც უნდა უჩვენონ...

იცით, ვინ არის „კარლსონის" შექმნის იდეის ავტორი? დღეს უკვე „თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი" ნინო ხვთისიაშვილი. ამ საქმის წამოწყებამ ნინო ერთბაშად მთელი პიონერული რაზმეულის სანატრელ მეგობრად და მისაბაძ პიონერად აქცია. „კარლსონის" ნორჩ მსახიობებს — ნინო მანოშვილს, თამრიკო თუშიშვილს, ეკა ეპიტაშვილს, ლია ჯაშიაშვილსა და სხვებს ხომ ნუღარ იკითხავთ...

შეხედეთ ამ პიონერებს და დარწმუნდებით, რომ „არავინ და არაფერია დავიწყებული".

გახსოვთ სიტყვები, რომლებითაც მიმართა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა „არტეკის" პიონერთა IX შეკრების მონაწილეებს? — „იყო გარდაქმნის მებრძოლი — უწინარესად, ნიშნავს, პირადი მაგალითით ამკვიდრებდე ცხოვრების იმ ნორმებს, იმ სტილს სწავლასა და შრომაში, რომელსაც პარტია მოგვიწოდებს. არ უნდა დაგრჩეთ უყურადღებოდ არც ერთი უბანი, სადაც თქვენ, ბავშვებო, შეგიძლიათ მიაღწიოთ სასიკეთო ცვლილებებს";

მიხეილ გორბაჩოვის ამ სიტყვებმა გაგვიჩინა სურვილი, გამორჩევით მოგითხროთ მე-6 სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეზე ნინო სოზაშვილზე. ამ ბოლო დროს ნინომ სკოლასთან ახლოს დასაფლავებულ რევოლუციონერთა საფლავებზე ზრუნვა წამოიწყო. მთელი სკოლა მხარში ამოუდგა. მისი ხელმძღვანელობით თემურელებმა თელავის სატყეო მეურნეობასაც მიაკითხეს. საძმო საფლავში დაკრძალული ვარდისუბნელი კომკავშირელების — ზაქარია და სერგო ჯაშიაშვილების, არჩილ სოზაშვილის, იოსებ თუშიშვილის, ვახტანგ დანიელოვის, იოსებ აივაზაშვილისა და ივანე კოლელიშვილის სახელზე შვიდი ძირი ნაძვის ნერგი გამოართვეს. საძმო საფლავზე დარგული ეს ნორჩი ნაძვები, ნინოს მცდელობით, უკვე რევოლუციისთვის დაღუპული ჭაბუკების გვარსახელამოტვიფრულმა შვიდმა მომცრო ფირფიტამ დაამშვენა.

12 სექტემბერი განსაკუთრებული დღე იყო ნინოსა და მისი რაზმეულის პიონერებისთვის. ამ დღეს

რაზმეულის შეკრება ჩაატარეს, პიონერთა IX საკავშირო შეკრების მასალები განიხილეს, მისი გადაწყვეტილების მოთხოვნები თავიანთი რაზმეულის შესაძლებლობებს შეუფარდეს. ერთ საკითხზე უცებ შეთანხმდნენ — შესაფერისი შრომითი ობიექტის მოძებნის მსურველი ბევრი აღმოჩნდა...

ორთვენახევარი გასტანა ამ ძიებამ. ვის არ მიმართეს: ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ადგილობრივ საწარმოს, თელავის № 15 სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელობასაც. ყველგან ერთი პასუხი ხვდებოდათ — არავის ჰქონდა მათი შესაძლებლობის ტოლფასი სამუშაო.

აქაც ნინო სოზაშვილმა იმარჯვა. ერთ დღეს იგი სკოლაში განსაკუთრებით ბედნიერი მოვიდა — ჩემს უბანში, მაწანწარაში, ფოსტალიონი აღარ გვყავს და იქნებ ეს საქმე ჩვენ მოგვანდონო.

ლამის მთელი რაზმეული მივიდა ქალაქის საფოსტო განყოფილებაში... განყოფილების უფროსის მოადგილე ალიკა არუთინოვი გულწრფელად გაახარა მოულოდნელი დამხმარეების გამოჩენამ.

საკითხის გადაწყვეტას ერთი კვირაც აცალეს, სანამ განყოფილების უფროსი ვალიკო მსუქნიშვილიც ჩამოვიდოდა. ასე გადაწყდა: საქმიანი ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთხანს უსასყიდლოდ იმუშავა რაზმეულში ოპერატიულად არჩეულმა მოხალისე ფოსტალიონთა შვიდკაციანმა რაზმმა. მეორე ცვლამდე, გაკვეთილების დაწყებამდე დარჩენილ მთელ დროს ფოსტაში ტრიალებდნენ, ჟურნალ-გაზეთების დანომრვა-დახარისხებაც ისწავლეს და წერილებისა თუ ღია ბარათების ჩამორიგებაც.

პირველი იანვრიდან კი „შტატიან მუშაკებად“ ითვლებიან. ერთი ფოსტალიონის საშტატო ერთეული მთელს რაზმს მეგობრულად აქვს განაწილებული. ქუჩებიც ასევე, მეგობრულად დაინაწილეს. აი, მაგალითად, გოჩა არაქელოვი მეგობრობის ქუჩას ემსახურება, დამოუკიდებელი მუშაობის დაწყებამდე კი, როგორც აქ ამბობენ, თავისი უბნის ფოსტალიონს ძია გალაქტიონს აჩრდილივით უკან დასდევდა, რომ მისი მუშაობის არც ერთი სპეციფიკური წვრილმანი არ გამორჩენოდა. ბიჭები რაინდულად მოიქცნენ. გოჩამ, ზაზა დათუაშვილმა, გელა და მალხაზ გენჯოიანებმა ყველაზე გრძელი და ძნელადმისადგომი ქუჩები თავიანთთვის შეარჩიეს, „კოლეგა“ გოგონებს — ნინო სოზაშვილს, ნინო ხვთისიაშვილსა და თამარიკო ფუშიშვილს კი შედარებით მომცროები დაუთმეს. ასე რომ, თელავის ძველისძველი უბნის — მაწანწარის ასევე ძველისძველმა ქუჩებმა — თურდოსპირელის, მეგობრობის, გულგულის, იმერეთის, ნაფარეულისა და სხვა ქუჩებმა — ძალზე გულიანი და პატიოსანი მსახურები შეიძინეს. და ასე იქნება წლევანდელი სასწავლო წლის დამთავრებამდე.

კიდევ ერთი: ჩვენი მოხალისე ფოსტალიონები ერთ აზრს ადგანან — კუთვნილი ხელფასისთვის ხელის დაკარებაც არ გვინდაო. მთელ თავიანთ ნამუშევარს შორეული ექსკურსიისთვის ინახავენ... მომავალ სასწავლო წელს კი, ვინ იცის, ეგებ სხვა შრომითმა ობიექტმაც მოუხმოთ. ეს იქნება კიდევ ერთი ნამდვილი საქმე — მათი პირველი პიროვნული, დამოუკიდებელი ნაბიჯი...

დიდ იმედს ვიტოვებთ, რომ გარდაქმნის აქტივისტის გამოსავლინებელი კომისიის თავმჯდომარეებსა და კომისიის სხვა წევრების ჩანაწერებში არაერთი ახალგამოჩენილი გარდაქმნის აქტივისტი პიონერის გვარი და სახელიც გაჩნდება.

ჰკითხეთ გოჩას, ზაზასა და თამრიკოს, რა სახალისო საქმეა გაზეთის მომზადება!



ნინო სოზაშვილმა უკვე გაიაზრა, როგორ შეასრულოს პიონერხელმძღვანელის დავალება

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ გაგიმარჯოს!

ვდგავარ სარკმელთან.
გარეთ ყინავს.
იანვარია.
მჭკნარი ფოთლები
სველ ქუჩაში
ფერხულს უვლიან.
ისეთი ცაა,
არაფერი არ მიხარია,
ამ ზეცასავით
ჩემი გულიც მოქუფრულია.

ასეთ ყოფაში
მოაქვს ფოსტას ჩემთან ბარათი,
ბარათთან ერთად ლექსებია
უცნობ მოწაფის.
ვშლი მწვანე რვეულს
უწადინოდ, ძალისძალათი.
ვკითხულობ... და ჰა,
სასწაულის ვხდები მოწამე:

ცა იღიმება,
ცაზე მეფობს მზე საყვარელი,
არე-მიდამო იმოსება
ჭრელი მოვითა;
ლურჯი ჯეჯილით იფარება
ვრცელი ყანები,
„კაფე-თესეო", — ხმა მოისმის
სადღაც შორიდან.

იადონების ტკბილ გალობას,
შაშვის მოძახილს
ეხმატკბილება ფანდურები
ნაკადულების;
იის სურნელით იბანგება
ჩემი ოთახიც,
არის ზეიმი მშობლიური
დედაბუნების.

...კარგა ხანია, რაც დავხურე
მწვანე რვეული,
თვალს მიეფარნენ
ნორჩი მგოსნის
ნედლი პწკარები,
მაგრამ მე ისევ
ნათელში ვარ გამოხვეული
და მენამება სიხარულის
ცრემლით თვალები.
ჩემო უცნობო მეგობარო,
მრწემო ასაკით,
„გიგზავნით საკუთარ ლექსებს. ძალიან მაინტერესებს თქვენი აზრი".

(მოსწავლის ბარათიდან)

გამიაპრილე ვინაც ეს დღე
იანვარული,
შენ გაგიმარჯოს,
რათა ნიჭით
ნაღდით, ხალასით
აღაფრთოვანო ხვალე თუ ზეგ
მთელი მამული!

შეგიჭირდებოდა ვიძნობდი

თეთრად მოელვარე
მწვერვალების ძირას,
დღე-ღამ მოგრუხუნე
ჩქარი დოლრას პირას
მოხასხასე ჭალაკში,
პიონერთა ბანაკში,
ტევრში მაღალ ფიჭვების
ვრბოდით გოგო-ბიჭები.
გაისმოდა მთაში

სიმღერები ჩვენი,
მტრედისფერი ფრთებით
მიფრინავდნენ დღენი.
ყოველ დილა-განთიადს
აღტაცებით ვხვდებოდით,
ერთგულებას მარადისს
ერთურთს ვეფიცებოდით,
როგორც უძვირფასესი,
საოცნებო მადანი,
იქ ვიპოვე მეგობრის
გული სანდო, მართალი.
ო, რამდენმა წელმა
ჩაიქროლა მერე,
მაგრამ იმა დღეთა
ულამაზეს ფერებს
ვერ შეეხო დროის
ულმობელი ტორი,
ახლაც გვერდით მივის
ჩემი სიყრმის სწორი,
კვლავ ერთი გვაქვს ორთავ
სიამეც და სევდაც,
წუთისოფლის გზაზე
მივაბიჯებთ ერთად,
და გვიღვივის სულში,
მარად ჩაუქრობლად,
თითქმის ნახევარი
საუკუნის წინათ
მწვერვალების ძირას,
თეთრი დოლრას პირას
მოხასხასე ჭალაკში,
პიონერთა ბანაკში
ანთებული გრძნობა.

ფიქრები ვაჟას ეზოში

და, როგორც იქნა, —
ვაჟას სახლ-კარი
აგერ, ჩემს თვალწინ.
შემოდგომაა.
დღეა დამტკბარი.
არც ქარი,
არც წვიმს.
ნისლიც აღარსად,
მოსარკულა
ფშავის ცარგვალი,
ამოდ ჩხრიალებს
წმინდა ჩარგლურა,
ყუჩობს ჩარგალი;
ღვივის ფერები, ოქრორეული,
დაბლა და მაღლა.
ყველას, ყველაფერს უფლისეულ
ნიშატი ახლავს.
სულ სხვანაირი
ამ ღვთის არეს
შვენის სინაზე.
ვფიქრობ, ირგვლივეთს
თვალს რომ ვავლებ,
იმ მინდიაზე,
გაჩნდება ვინაც ოდესმე ფშავში,
მემკვიდრედ მგოსნის.
რარიგ იხარებს სამშობლო მაშინ
იმისი მოსვლით!
რა მანძილი აქვს
ნეტავ ამ ლოდინს
მთების, ველების?
აფეთქდებიან ნეტავი როდის
ვაჟას გენები?!.

იმრავლოს!

თანდათან, გულგასახარად,
ცოცხლდება საჯიხვეები.
აღარ კრთებიან თოფის ხმით
მყინვარები და ხევები,
ფრიალოების ლამაზებს
აწ არვინ მიეპარება.
იმრავლოს! დაე, ჭიუხი
დაფარონ ჯიხვის ფარებმა.

გურამ
ვარაზანაშვილი

მხატვარი
შადიმან ჯაჭჭაჭაძე

მოთხრობა

3. ახალი გამოქვაბული

გაიოზის გარდა, რომელსაც იმ დღეს მორიგეობამ მოუწია, ყველამ ზუგრჩანთა აიკიდა და წანწკარას ხეობისაკენ გასწიეს, სადაც ძველთაგანვე უამრავი გამოქვაბული იყო.

ბევრი იარეს აღმა-დაღმა. თანდათან ჩამოცხა. ერთი სული ჰქონდათ, როდის ააღწევდნენ მთავარ ჯგუფამდე, სადაც ბნელი გამოქვაბული ეგულებოდათ.

ვაჟა ახლა წინ მიუძღოდათ, — მან სხვებზე უკეთ იცოდა ამ ადგილებში საძრომი ბილიკები.

ნიკა კვლავ გუშინდელ შეხვედრაზე ფიქრობდა: ნეტა რას აკეთებს ახლა ნინიკო? წამოვა კვლავ ტყეში შინდის საკრეფად? დამპირდა, გინახულებთო, მაგრამ შეასრულებს სიტყვას? როგორი გამოხედვა აქვს, როგორი გადამდები სიცილი იცის, უნებურად აჰყვები... მოუწევს თუ არა მასთან კიდევ შეხვედრა?

კარგა ხანს სიარულის შემდეგ გვერდი აუარეს რამდენიმე მომცრო ქვაბულს და პატარა მოედანზე გავიდნენ, რომლის უკან გამოქვაბულთა მთელი ჯგუფი მოჩანდა.

— აი, ჩვენც მოვედით, — მიმართა ვაჟამ ირაკლის, — აგერ ის ბნელი გამოქვაბული... მოიხსენით ზურგჩანთები და ამ ლოდთან დააწყეთ... მე ვუდარაჯებ.

— მეც დავრჩები, — თქვა ნიკამ, — აბა რა სასიამოვნოა, ორჯერ ერთსა და იმავე ხვრელში ძრომა, მით უმეტეს, სანახავი არაფერია ცარიელი კედლების მეტი.

ძირს მდინარე წანწკარა მიიკლაკნებოდა ლოდებს შუა აჩქერებული. ნაპირები ჭალის ტყეს დაებურდა. ზემოდან გარკვევით მოჩანდა თხმელის, ტირიფისა და თხილის ხე-ბუჩქები, რომლებიც ვერხვიანში შერეულიყვნენ. უფრო შორს, რცხილისა და მუხის ტყე ასდევდა მთის ფერდობებს.

რამდენიმე დიდვარჯიან ხეს მზის მწველი სხივებისაგან დაჩრდილული ბაქანი შეექმნა.

სწორედ ამ ჩეროში მოკალათდნენ ვაჟა და ნიკა, აქ დაელოდნენ ამხანაგებს, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით გაუჩინარდნენ მღვიმეში.

ჰაერში ხოჭოები და ნემსიყლაპიები დაქროდნენ. წყლის დუდუნს მწერების შორეული, გაბმული ზუზუნი ერთვოდა. ისეთი სიმშვიდე იდგა, თვლემას მოჰგვრიდა კაცს.

სწორედ ამ დროს ზემოდან ქვა ჩამოგორდა. ერთს მეორე მოჰყვა და მალე მთელი გროვა ჩამოიმზღვლა.

ორივემ ყური ცქვიტა. ერთმანეთს უსიტყვოდ გადახედეს, იქით მიაპყრეს თვალი, საიდანაც ხმა მოისმა. ეჭვი არ იყო, კლდის გვერდით შეფენილ ფერდობზე ვიღაც იმყოფებოდა.

დააკვირდნენ.

ბუჩქნარში რაღაც მოძრაობდა. ტოტები დროდადრო ირხეოდა.

— რა უნდა იყოს? — ვაჟამ მზერა ვეღარ მოსწყვიტა იმ ადგილს.

ნიკამ ქვას წამოავლო ხელი, ბუჩქებისაკენ მოისროლა. კიდევ ჩამოცვივდა ქვები. მალე დამრეც ბილიკს ძროხა ჩამოჰყვა.

— ხატულა! — შეჰყვირა ნიკამ, როგორც კი ცხოველს მოჰკრა თვალი, — უყურე ერთი ამ ეშმაკის ფეხს! გუშინ იქით მხარეს იყო, დღეს კი აქეთ გადმოსულა. მოდი და გაუშვი ამგვარი თავნება საქონელი მენახირის გაუყოლებლად.

ძროხა ნელა-ნელა ჩამოდიოდა ძირს. მდინარისაკენ დაუხვია და მალე თვალს მიეფარა. საიდანღაც სხვა

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 1.

ძროხებიც გამოჩნდნენ და ისინიც დაღმა ჩაპყვნენ ბილიკს.

სხვა დროს ვაჟა დაწვრილებით გამოჰკითხავდა, საიდან იცნობდა ნიკა უცხო საქონელს, მაგრამ ახლა ამისთვის არ ეცალა. ხელთ ახლახანს ჩამოგორებული ქვა ეჭირა და დიდი ყურადღებით დასჩერებოდა. მერე უსიტყვოდ გაუწოდა ნიკას, დაელოდა რას იტყოდა.

ნიკამ ქვა შეაბრუნ-შემოაბრუნა. გულდასმით დაათვალიერა.

— დუღაბით ნაშენი კედლიდან გამოვარდნილს ჰგავს... ზედვე მიჰკრობია კირხსნარი. შენ რას იტყვი?

— იმას, რასაც შენ! — მიუგო ვაჟამ, — აქედან ზევით ქვა თავისით ვერ აგორდებოდა, ასე რომ... სანამ ისინი გამოქვაბულის ნახვით გულს იჯერებენ, წამო, იმისი ადგილსამყოფელი მოვიძიოთ, იმ შენმა ნაცნობმა ძროხამ ასე დიდსულოვნად რომ გადმოგვიგდო. ამგვარ უკაცრიელ ადგილას, კედელში ჩაკირულ ქვას ტყუილუბრალოდ არავინ მოიტანდა.

ორივე მაშინვე შეუდგა აღმართს იმ ბილიკით, წეღან ძროხები რომ დაეშვნენ.

მალე ნავარაუდევ ადგილზე აღმოჩნდნენ. ბუჩქნარი გადასწიეს, კლდეზე აკრული ხავსი ჩამოგლიჯეს. მათ თვალწინ აღიმართა მორყეული, ალაგ-ალაგ ქვაგამომძვრალი, მაგრამ მაინც მტკიცედ ამოშენებული კედელი.

4. აღმოჩენა

გამოქვაბულში შესულებმა ვერაფერი აღმოაჩინეს და ხელცარიელები ვამობრუნდნენ. ბარგის სადარაჯოდ დატოვებულნი ბაქანზე რომ ვერ ნახეს, გაოცდნენ და ხმამაღლა ძახილს მოჰყვნენ.

ნიკა და ვაჟა ახალ ნაპოვნი კედლის გაწმენდით იყვნენ გართულნი, მახლობლად ამოსული ბუჩქნარის ტოტებს ამტვრევდნენ, ქვებზე აკრულ სუროსა და ხავსს აცლიდნენ. მალე ნათლად გამოჩნდა ქვების წყობა და მეტისმეტი სიხარულით გული აუჩქროლდათ.

გაიგონეს თუ არა ძახილი, მაშინვე გამოეხმაურნენ.

— აქ ამოდით, აქა! ყველანი ამოდით, ჩქარა!..

იქ რაღამ ააფოფხათო — ერთი კი გაიფიქრეს ბიჭებმა და ვიწრო ბილიკს დაწალიკებით შეუყვნენ.

— იცი ვაჟა, მართალი ყოფილხარ, — წამოიწყო ირაკლიმ, მათთან რომ მივიდა, მაგრამ კედელს ჰკიდა თვალი და გაოცებით წამოიძახა: — ეგ რაღა არის?

— ახალი სამყაროს შესასვლელი! — იხუმრა ვაჟამ, კედელთან მივიდა, რამდენიმე მორყეული ქვა გამოიღო და განზე გადგა. — აგერ, კარიც! მართალია, თავის დროზე უზრუნიათ მის შესანიღბავად, მაგრამ ხატულა ძროხამ მაინც მიაგნო.

გაკვირვებული ბიჭები თვალებად იქცნენ.

— ძროხამ? — ჩაეკითხა ირაკლი, — რომელმა ძროხამ? აგვიხსენი რიგიანად...

— იმის თქმა უნდოდა, ძროხამ აღმოგვაჩენინაო ახალ გვირაბში შესასვლელი კარი, — განუმარტა ნიკამ, — ჩვენ ვერც ვიფიქრებდით მის არსებობაზე. ეტყობა, არც აქაურებმა იციან... ვინ მიაგნებდა, ისე იყო შენიღბული.

ახალმოსულებიც მიეხმარნენ. შესასვლელი გაწმინდეს, გაასუფთავეს და იმხელა ხვრელი გააკეთეს, ადამიანი თავისუფლად შეძვრებოდა.

წლობით წყვდიადში ნამყოფი კედლები პირველად გაანათა ელექტროფარნების შუქმა.

შეგუბებული, ნესტიანი ჰაერი იდგა. ყურადღების დაძაბვით მიიწევდნენ, ცდილობდნენ არაფერი გამოჰპარვოდათ.

ზოგან კედელი ჩამომზღვლეულიყო. ისეთი სიჩუმე იდგა, საკუთარი გულის ცემა ესმოდათ.

მალე გამოქვაბული ორად გაიყო. მარჯვენა მოკლე ტოტი პირდაპირ ებჯინებოდა პიტალო კლდეს, მარცხენა კი სიღრმეში მიდიოდა.

მიდიოდნენ და ეგონათ, აგერ-აგერ წავაწყდებითო რაღაც არაჩვეულებრივს. სხვანაირად რა აზრი უნდა ჰქონოდა გამოქვაბულის ასე გულმოდგინე შენიღბვას?

ჭერზე რაღაც ბზარები მოჩანდა. გვერდით კედელში თახჩები იყო გამოჭრილი. შემჭვარტლული კვალი დაეტოვებინა გზის გასანათებლად დანთებულ სანთლებსა თუ მაშხალებს.

— ბიჭებო, ბიჭებო! — მოულოდნელად შესძახა ლევანმა, — ვერა გრძნობთ? თითქოს ჰაერი მოძრაობსო... სახეზე ისე მელამუნება!.. — საჩვენებელი თითი პირში გამოიკლო და მაღლა შემართა, — ეს იმის სანიშნელია, მეორე გასასვლელიც უნდა ჰქონდეს.

გამჭოლ გასასვლელს ვერ მიაგნეს უბრალო მიზეზის გამო, გამოქვაბულის ყელი მარჯვენა ტოტივით პირდაპირ კლდეს მიებჯინა და ჩაკეტილი აღმოჩნდა. კარგად რომ დაათვალიერეს იქაურობა, ვეება ლოდებით ამოქოლილი ნახეს. ბუნების ნამოქმედარი იყო ეს თუ ხელოვნურად დახშული, ძნელი სათქმელი გახლდათ.

— როგორ მოვიქცეთ? — პირველმა რეზომ დაარღვია მდუმარება, — უკან გავბრუნდეთ?



— გეგონა, ეს გამოქვაბული პირდაპირ მიგიყვანდა გადამალულ საუნჯესთან? — დასცინა ვახტანგმა, — არც ასეთი მიამიტები იყვნენ ჩვენი სულკურთხეული წინაპრები.

— მოიცათ, ბიჭებო, — დავაში ირაკლი ჩაერია, — მღვიმე დიდი ხნის გამოთხრილია, კედლები მორყეულია, ზედმეტი ხმაურისაგან შესაძლოა ჭერიც ჩამოინგრეს... უკან გასასვლელი გზა ჩაგვეკეტოს.

— როდემდე ვიდგეთ აქ შეწირული ცხვრებივით? — ჩაილაპარაკა ნიკამ, — თუ აღარაფერია სანახავი, გარეთ გავიდეთ და იქ ილაპარაკეთ.

ირაკლიმ ყური მიადო კედელს, დაძაბული რაღაცას უსმენდა.

— ჩუ! — ანიშნა ხელით ბიჭებს, — ნუ მიშლით.

ყველამ სული განაბა, მიაყურადეს.

— რაო, ბეთჰოვენის სიმფონიას ხომ არ უკრავენ იქითა მხარეს? — გააქილიკა ლევანმა, — რა მოგეჩვენა, ნეტავი მაცოდინა!

ვახტანგმა ყურადღება არ მიაქცია ამხანაგის დამცინავ სიტყვებს და ირაკლის შეეკითხა:

— ისმის რამე?

— რა უნდა ისმოდეს? — გაუკვირდა ვაჟას, — განა მიწისქვეშეთში ცხოვრობენ?

— ცხოვრობენ, აბა რა! — გაეპასუხა ლევანი, — მაგალითად, ჯუჯები... გამოქვაბულის ბინადარი ხვლიკები, ღამურები.

ირაკლიმ დაფიქრებით ასწია თავი.

— თითქოს ხმაური შემომესმა... დაგუდული ჩხრიალისა თუ რაღაცა ამგვარი... იქნებ მომეჩვენა კიდეც...

ბიჭებმა ფარნით დაძებნეს კედლებზე მცირე ადგილებიც კი, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს.

— თუ მართლა ცხოვრობდა აქ უწინ ვინმე, სანიშნოდ რაიმეს დაგვიტოვებდნენ, ძალიანაც რომ არ სდომებოდათ, — თქვა ვახტანგმა, — მაგრამ, მოიცათ, ბიჭებო, ეს რა არის?

ფარანი მაღლა ასწია და სუნთქვაშეკრული მიაჩერდა კედელზე რაღაცას.

ყველამ იქ მოიყარა თავი. უკეთესად გაანათეს მითითებული ადგილი. ირაკლიმ ხელისგულით გადაწმინდა კიდეც.

მათ თვალწინ ნათლად გამოისახა თავდაღმა ამოკაწრული ისარი.

— მეტი არაფერი? — შეცბუნებული კილოთი იკითხა რეზომ, — მე კი მეგონა...

აღარ დაამთავრა, რა ეგონა. თავში ახალმა აზრმა გაჰკრა, თან წამოღებული გეოლოგიური წერაქვი იძრო და ისრის დასწვრივ იატაკს დაუწყო მოთხრა. საკმაო სიღრმის ორმო ამოთხარა. ცოტაც და, ორმოს ძირში მბრწყინავი კოლოფი გამოჩნდა. ყველამ სუნთქვა შეიკრა. ნუთუ მართლა მიაგნეს იმას, რისთვისაც ასე საგულდაგულოდ იყო დაფარული გვირაბის შესასვლელი?

ირაკლიმ ფრთხილად ამოიღო და ხელისგულზე დაიდო კოლოფი. მომცრო იყო, ვერცხლისფერი. მეტი ვერაფერი ნახეს, თუმცა იქაურობა სულ გადათხარეს.

— სინათლეზე გავიტანოთ, იქ გავხსნათ, — წინადადება წამოაყენა ნიკამ, — ეგებ მართლა ძვირფას ცნობას შეიცავს.

დღის შუქზე გამოვიდნენ და კლდოვან ბაქანზე მოგროვდნენ. ირაკლიმ ბრტყელ ლოდზე დადო კოლოფი, დანის წვერი ჭრილში შეუყარა და ფრთხილად დააწვა. სახურავი დანებდა — ტკაცანით აიხადა.

ყველანი თვალებად იქცნენ, არაჩვეულებრივის დანახვას ელოდნენ.

კოლოფში გასანთლულ ტილოში გახვეული ქაღალდის ნაგლეჯი აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ, ყველაფერი, რაც საპოვნელი იყო, დიდი ხნის წინ იპოვეს, ეტყობა, — დანანებით ჩაილაპარაკა გივიმ, — მე კი რაღა არ ვიფიქრე.

რა იფიქრა მაინც?

— იქნებ გსურდა ზღვაში ჩაძირულ საუნჯეთა აღმნიშვნელი რუკა გეპოვა? — შეეკითხა რეზო, — ანდა, მონღოლებისაგან გადამალული საგანძურის ცნობა, თუ კი ამგვარი რამ მართლაც არსებობს?

— მოიცათ, წინამასწარებო! — ხელი მოუთმენლად გაიქნია ვახტანგმა, — ჯერ ვნახოთ, რას გვწერენ წინაპრები. გამიგონია, ხშირად ამგვარ წვრილმანზე ყოფილა დამოკიდებული უდიდეს აღმოჩენათა ბედი... გაშალე, ირაკლი!

ირაკლიმ გასანთლული ტილო ფრთხილად შემოაძრო, ქაღალდი ქვაზე დადო და გაასწორა.

დრო-ჟამის ხანგრძლივობას თავისი გაეტანა, სინესტე შეეპარვოდა მჭიდროდ თავდახურულ კოლოფს. გასანთლულ ტილოსაც ვეღარ ეშველა. ნაწერი გადაშლილიყო, აქა-იქ შემორჩენოდა რამდენიმე ასო, რომელთაგან აზრის შეკოწიწება ძალზე ძნელ საქმედ ჩანდა.

გივიმ ხელი წაატანა ასაღებად, მაგრამ რეზომ შეაჩერა.

— სწრაფად გადმოვიწეროთ, ბიჭებო, სანამ რაიმე დაემართებოდეს.

ასეც მოიქცნენ. როცა უბის წიგნაკში ყველა ასო თანამიმდევრულად გადმოიღეს, წარწერამ ამგვარი სახე მიიღო:

— კ. დის ..ვზე მ....ნივ ა.... ი..... ი.... ვ....თ. ....მ.... ნ....ზ... ....ი... ვ....

ეს იყო და ეს.

— ეს რა გამოვიდა. — აბუზღუნდა გივი, — სჯობდა სულაც არაფერი გვეპოვა. მაშინ გულიც არ დაგვწყდებოდა. ახლა რა უნდა გავუგოთ ამ აბდაუბდას?

— მოიცა, გივი, — დაამშვიდა ირაკლიმ, — ვცადოთ წაკითხვა.

— მკვდარს რაღა გააცოცხლებს, — ჩაიბურტყუნა გივიმ და ზურგი შეაქცია.

ირაკლი კარგა ხანს ყურადღებით აკვირდებოდა ნაწერს.

— როგორც ხედავთ, ბიჭებო, ამოცანა ძალზე რთულია, — თქვა ბოლოს. — წინა სიტყვები შედარებით უკეთ შემონახულა. თუ ზოგიერთ ასოს ჩავუმატებთ, იქნებ რაიმე შინაარსიც მივიღოთ. ისტორიამ იცის ამგვარი შემთხვევები და ჩვენც ვცადოთ ბედი. აბა, ვის გაქვთ მიხვედრილობა?!

პირველად ვაჟამ დაიწყო:

— მე თუ მკითხავთ იქნებ ასო „ლ“ ჩაგვემატებინა პირველი სიტყვისათვის? მაშინ გამოვიდოდა „კლდის“...

— ყოჩაღ, ვაჟა! — უთხრა ვახტანგმა, — ჩინებულია! ჩემი აზრით, შენში დაფარული ლინგვისტური ტალანტი ინახება და, სანამ დროა, იფიქრე ამაზე.

— ვაჟას წინადადება მისაღებია, — უდგება კიდეც, — თქვა ირაკლიმ, — ჩვენ ხომ ამ სახელგანთქმული კლდის ქვეშ ვიმყოფებით.

— ბრავო, უფროსო! — დაიღრიალა ლევანმა და გახარებულმა ჭილის ქუდი ჰაერში აისროლა, — რა კარგად მოერგო!.. შენი ჭირიმე, შენი! შემდეგ რა მოსდევს?

— შემდეგ მოსდევს ...ვზე. ვზე რაღა უნდა იყოს?

— თავზე! — ისე ნაჩქარევად წამოიყვირა ნიკამ, — თითქოს შიშობდა, არავინ დამასწროსო.

— ვაშაა! — ტაში შემოჰკრა ვახტანგმა, — რასაკვირველია, „თავზე“ და არა „ფეხზე“!

— „თავზე“ მისაღებია, — დაემოწმა ირაკლი, — გამოდის რომ წერია — „კლდის თავზე“.

— ამ კლდის თავზეა ლაპარაკი? — შეშფოთებით აიხედა მაღლა რეზომ, — ხალხი „არ ახვიდეს“ რომ ეძახის?

— ეძახის და, ეტყობა, მიზეზიც ჰქონია, — მიუგო ნიკამ. — მე ცოტ-ცოტა რაღაცები დავადგინე და ამ საღამოს ბანაკში მოგიყვებით.

— მაშ განვაგრძოთ! — წამოიძახა წახალისებულმა ლევანმა. — მესამე სიტყვა რა არის? მ....ნივ. არა, ირაკლი?

— ეგრეა, ეგრე!

განზე გამდგარ გივის ყველაფერი ესმოდა. ერთი სული ჰქონდა თვითონაც მიეღო მონაწილეობა. გულმა ვეღარ გაუძლო და კვლავ ამხანაგებს შეუერთდა. დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს, ნელ-ნელა როგორ იკვეთებოდა ჩამოყალიბებულ აზრად ის ცალკეული ასოები, წეღან რომ აბსურდად მოეჩვენა. გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ნაწერის ამოხსნაში და, როცა ლევანმა შეკითხვა დასვა, ყოყმანით დაიწყო:

— იქნებ ვცდებოდე კიდეც... არ ვიცი... მაგრამ, მეჩვენება, ეგ ასოები „მარცხნივ" უნდა ნიშნავდეს.

— ანდა „მარჯვნივ"! — სწრაფად მიაგება ვაჟამ.

— ორივე მისაღებია, — თქვა ირაკლიმ, — დანარჩენების ამოკითხვა ძალზე ძნელია. იმედი მაქვს, ყველაფერს გავარკვევთ, როცა კლდის თავზე ავალთ. ხეობის ამ მხრიდან ასვლაზე ფიქრიც კი შეუძლებელია, — დაქანება ძალზე დიდი აქვს. აი, მეორე მხრიდან თუ მოხერხდა... თუმცა, ნიკამ ხომ მოინახულა გუშინ. — კვლავ ქაღალდს ჩააცქერდა. — ასე რომ, სამი მთელი სიტყვა ხელთა გვაქვს: „კლდის თავზე, მარცხნივ ან მარჯვნივ"... ვგონებ კარგად დაიწყო დღევანდელი დღე.

წინ წასულმა ლევანმა ყური მოჰკრა თუ არა ირაკლის ნათქვამს, შემობრუნდა და ორივე ხელი მაღლა ასწია.

— არ მიყვარს ნაადრევი დასკვნის გამოტანა, მაგრამ, ვგონებ, რაღაც კვალს მართლაც დავადექით.

— წინაპართა კვალს, ჩემო ბიჭიკო! — გაეპასუხა ვახტანგი.

5. ბანაკში

გაიოზისათვის სასიამოვნო აღმოჩნდა ბანაკში დარჩენა. ყველაფერი მოათავა და მიალაგ-მოალაგა. მერე ხეებქვეშ, ჩრდილში გაშლილ ასაკეც საწოლზე გაიშხლართა. თვლემა რომ მოერია, სწორედ მაშინ წამოაგდო ზეზე მოტოციკლის ტრახტრახმა.

მოტოციკლიდან უცნობი გოგონა და ბიჭი გადმოვიდნენ, ისტორიკოსები იკითხეს. გაიოზმა აუხსნა, რისთვისაც იყვნენ წასულნი, თან დასძინა, მეც მათი ექსპედიციის სრულუფლებიანი წევრი გახლავართ და, თუ რაიმე გსურთ, ჩემთანაც შეიძლება მოლაპარაკება, რა გინდ საჩოთირო საკითხიც არ უნდა იქნეს გადასაწყვეტიო.

მაშინ მოსულებმა მოტოციკლის ეტლიდან სავსე ჩანთები გადმოიღეს და ენაჩავარდნილი სტუდენტის გასაოცებლად იქვე მდგარ მაგიდაზე დაიწყეს ამოლაგება.

— ესაო, — უხსნიდა ლამაზი გოგონა გაიოზს, — ერთ-ერთმა თქვენმა ამხანაგმა დაკარგული ძროხა რომ გვაპოვნინა, იმის საჩუქარი არისო.

ამოიღო მაწვნის ქილები, ყველი, კიტრი, პამიდორი, მწვანილი... მაგიდაზე აწყობდა და თან განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. უამბო, როგორ გადაეყარნენ ისა და ნიკა ტყეში მის ძროხას და როგორ მიაცილა ნიკამ ისინი სოფლამდე.

დამუნჯებული გაიოზი თვალს ადევნებდა სტუმრების საქმიანობას, არა სჯეროდა, თუ მათთვის იყო ეს ყველაფერი მოტანილი. მერე კი, როცა ცივად მოხარშულ დედალსაც ჭიდა თვალი, ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

ეროვნული

— ერთი ეს მიბრძანეთ, ციდან ჩამოცვენილი სტუმრებო, მისამართი ხომ არ შეგეშალათ? დავიჯერო, ყველაფერი ეს ჩვენ გვეკუთვნის და თქვენმა ხატულა ძროხამ გამოგვიგზავნა?

— დიახ! განა არ ღირს მისი პოვნის საფასურად? — მიუგო ორივემ ერთად.

ყველაფერი რომ ამოალაგეს, ცარიელი ჩანთები ისევ მოტოციკლის ეტლში ჩააწყვეს, საღამოს ჭურჭლის წასაღებად გამოგივლითო, დაუბარეს გაიოზს და წავიდნენ.

●

სამხრობა გადასული იყო, მოლაშქრეები რომ დაბრუნდნენ. ყველა დაღლილი, მაგრამ გახარებული იყო. გაიოზმა შორიდანვე შეატყო ეს, როცა მათ მხიარულ სიმღერას მოჰკრა ყური. გივის მაისური გაეძრო, რაღაც ალმისმაგვარი გაეკეთებინა და ჯოხზე წამოცმულს ამაყად მოაფრიალებდა.

— არის, არის! — შორიდანვე გამოსძახეს გაიოზს, — არის საუკუნის აღმოჩენა.

გაიოზს თავადაც სურდა გაეკვირვებინა ამხანაგები, მაგრამ ახლა სულ გადაავიწყდა სავსე სუფრა, მათ შესაგებებლად გაიქცა.

მეგობრებმა სულმოუთქმელად უამბეს ნაპოვნის შესახებ. ხოლო, როცა გაიოზმა თავისი თვალით იხილა ვერცხლისფერი კოლოფი შიგ ჩადებულ გასანთლულ ტილოში გახვეულ ქაღალდთან ერთად, თავი ვეღარ შეიკავა, რამდენჯერმე მალაყებს გადავიდა. მერე ეცა და ყველას სათითაოდ გადაეხვია.

— თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, თქვენი! ეს რა დიდებული დღე გაგვითენდა! — შეჰყვირა გახარებულმა, — მეცა მაქვს გადანახული პატარა საჩუქარი! აბა აქეთ მოდით და სუფრას გახედეთ!.. ეგეთ ამბავს ხომ დახვედრაც შესაფერისი სჭირდება! არ გეგონოთ, დღევანდელი დღე ტყუილად გავატარე! ნახეთ ერთი, როგორაა აყვავებული ჩვენი სუფრა!

გაიოზმა დაწვრილებით უამბო, როგორ ესტუმრნენ სოფლიდან მშვენიერი ქალიშვილი და ბიჭი მოტოციკლით, როგორ მოართვეს ძღვენი ძროხის პოვნისათვის.

ნიკას გული აუფანცქალდა, ჰკითხა, დიდი ხანია თუ არა, რაც წავიდნენო, გაიოზმა კი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის სტრიქონებით მიუგო:

სიყვარულო ძალსა შენსა,
ვინ არის, რომ არ ჰმონებდეს...

ნიკა მუქარით წავიდა მისკენ, მაგრამ გაიოზმა ხელები გაშალა და შემრიგებლურად უთხრა:

— არ გეწყინოს, ძამა, ვიხუმრე. ნამეტანი კაი გოგო იყო და შემშურდა. კიდევ მოვა აქ — ასე დამიბარა. თქვენისთანა ურწმუნოებს სხვანაირად როგორ დავაჯერებდი, მოწმე მჭირდებოდა. ა, თუ არა გჯერათ, აგერ მოტოციკლის ხმაც ისმის.

ხმა გაძლიერდა და მალე მოტოციკლიც გამოჩნდა ქალ-ვაჟიანად.

დამალვას აზრი აღარ ჰქონდა... ნიკაც მოყვა გუშინდელი შეხვედრის ამბავს ნინიკოს კი შეატყობინა, სადაც ნახეს დღეს ხატულა. იძედი მაქვს, სოფელში ისე მოვა, ჩემი გაცილება აღარ დასჭირდებაო, — დაუმატა.

ყველანი სუფრას შემოუსხდნენ. როცა შენაყრდნენ, ვახტანგმა ვეღარ მოითმინა და წამოიძახა:

— მჯერა, ხალხო! მჯერა, რომ ამქვეყნად კიდევ ხდება სასწაულები! მჯერა და რა ვქნა, განა ჩემი ბრალია?!

კარგახანს იმხიარულეს, მერე, როდესაც ნინიკომ ჭურჭელი წამოკრიფა და წასასვლელად მოემზადა, გამოსათხოვარი სიმღერით გააცილეს საკმაო მანძილზე, გაიოზმა მარჯვენა ხელი მკერდზე მიიდო და ქალიშვილს ღირსეულად დაუკრა თავი.

— ჩემო დაიკო! დიდი მადლობა გადაეცით თქვენს ძროხა-ხატულას ჩემი და ჩემი მეგობრების სახელით. სთხოვეთ, ჩვენს ბანაკსაც ამოუაროს ხანდახან; პირობას ვაძლევთ, ქორფა ბალახს არ მოვაკლებთ, ა, ხომ ხედავთ, რამდენია გარშემო. ძოვოს თავის ნებაზე, დამშლელი არავინ ეყოლება.

ნინიკომ გაიცინა და მოტოციკლის ხმაურში შიუკო:

— გადავცემ, უსათუოდ გადავცემ! იმასაც ვეტყვი, კვლავ გამოგიგზავნოთ, რაც კი მოეპოვება, თუკი ცოცხალი დაბრუნდა ამაღამ შინ.

6. გაუთვალისწინებელი ნახტომი

დილაადრიან ჩვენმა მკვლევარებმა „არ ახვიდეს" კლდის ძირას მოიყარეს თავი.

ნიკამ, აქაოდა, კლდეზე ასასვლელი გზა პირველად მე დავზვერეო, მეწინავეობა არავის დაუთმო. წელზე თოკი შეიბა და აღმა აჰყვა ფრიალოებს. სხვები იდგნენ, შეჰყურებდნენ, როგორ მიფოფხავდა მათი ამხანაგი. იმდენ რჩევა-დარიგებას აძლევდნენ, თავგაბეზრებულმა ჩამოსძახათ, — გაჩუმდით და მაცალეთ ასვლაო.

მიცოცავდა ნიკა, თან ფეხის მოსაკიდებელს ეძებდა. ზოგჯერ წერაყინით თხრიდა კიდეც. ერთი-ორჯერ ქვა აუსხლტა და მაშინ კლდეს აკრული სულგანაბული ელოდა, როდის ჩაშვავდებოდა უკანასკნელი კენჭი.

„ტყუილად არ შეურქმევიათ ამგვარი სახელი, — ფიქრობდა ოფლადგაღვრილი, — ეტყობა, ჩემამდეც ბევრმა სცადა ბედი... შორიდან კი იოლი დასაძლევი ეჩვენება კაცს".

როგორც იქნა ააღწია და კლდეს თავზე მოექცა. ცოტა ხანს იწვა, სულის მოთქმას ცდილობდა. როცა მიიხედ-მოიხედა, სახტად დარჩა. თავწაკვეთილ გოგრას უფრო ჰგავდა აქა-იქ მეჩხერად ლოდებდაყრილი. იმხელა ბაქანი იყო, ფეხბურთის მოედნადაც გამოდგებოდა. მცენარეულობა მწირად მოჩანდა. რამდენიმე დაგვალული ბუჩქი და ლოდებქვეშიდან გამოჩრილი ვაციწვერა იმაზე მიუთითებდა, ქარსა და წვიმის წყლის ნიაღვრებს გადაერეცხა იქაურობა, საშუალება არ მიეცა ნიადაგის ფენის შესაქმნელად. ყველგან კლდოვანი ქანები მოჩანდა. ხავსმოდებული და მღიერებით დასახლებული ქვები თითქოს იმიტომ დაეყარა ბუნებას, რომ ზედ ადამიანები ჩამომსხდარიყვნენ და დამშვიდებით დაეთვალიერებინათ ირგვლივ გადაშლილი ჯადოსნური სანახაობა. ორივე მხარეს მოჩანდა შორს, ნისლიანი მთაგრეხილისაკენ გაწვრილებული ხეობები, სიღრმეში გაწოლილი ვერცხლის ძაფებისაგან დაწნული ნაკადულებით. ქვემოთ, მთების ძირას სოფელი მიყუჟულიყო მზეზე მოლაპლაპე სახურავებით.

ნიკა ისე მონუსხა სახილველმა, ყველაფერი გადაავიწყდა.

— ეჰე-ჰე-იიი! — ძახილმა გამოიყვანა გარინდებიდან.

ახლაღა გაახსენდა დაბლა მომლოდინე ამხანაგები. დატრიალდა, ლოდის ძირას ამოსული დაგვალული ბუჩქებიდან ერთ-ერთს დაეჯაჯგურა, სიმტკიცე მოუსინჯა, მერე თან წამოღებული თოკის წვერი ჩააბა, თავადაც ჩასძახა, მზად არის და ამოჰყევითო.

განიხილავს
ხელმძღვანელობს
ფიზიკა-მათემატიკის
მეცნიერებათა
კანდიდატი
ბ. ველაძე

ინფორმატიკა

ეშაგე გაყოფის ალგორითმი

გამოთვლითი მანქანებისა და რობოტების დანერგვამ ხელი შეუწყო ნრავალი საინტერესო ალგორითმის შექმნასა და ალგორითმების თეორიის განვითარებას, რადგან უკვე განმტკიცდა მოსაზრება, რომ ეს მანქანები და რობოტები ბრძანებათა საუკეთესო შემსრულებელნი არიან. სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად არსებობს მრავალი ალგორითმი, რომელიც ეფუძნება კაცობრიობის მიერ წლობით დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას. ის, რასაც დღეს ჩვენ ალგორითმს ვუწოდებთ, სხვადგარად, მოხერხებული კაცის ესა თუ ის მოქმედება გახლავთ. ერთ-ერთ ასეთ მოქმედებასა და მასში გამოყენებულ ალგორითმზე დღეს მოგითხრობთ.

გასული საუკუნის 60-იან წლებში სამხრეთ აფრიკაში დედამიწაზე უმდიდრესი ალმასის საბადოები აღმოაჩინეს. დედამიწის ყველა კუთხიდან მოაწყდნენ აფრიკას ალმასის მაძიებლები. მათ შორის იყვნენ ჩვენი გმირებიც — ჯიმი, ჩარლი და ნელსონი, რომლებმაც გამდიდრების სხვადასხვა გზა აირჩიეს. ჯიმი და ჩარლი ფათერაკებით სავსე ცხოვრებამ დაამეგობრა, ნელსონი კი ყაჩაღთა მეთაური გახდა.

ერთხელ ჯიმმა ალმასების ახალ საბადოს მიაკვლია და დიდძალ განძთან ერთად ბანაკში ბრუნდებოდა; როცა მიუახლოვდა მდინარე ზამბეზს, რომლის მიდამოებშიც ნელსონის ყაჩაღები დათარეშობდნენ, განძის დამალვა გადაწყვიტა. მდინარის ნაპრალს შემოხვევით იგი გვირაბს წააწყდა, რომელშიც ოდესღაც წყალი უნდა ყოფილიყო, ახლა კი წყალი დამშრალიყო. გვირაბის მარცხენა ბოლოში ჯიმს წითელი მიწა დაეხვედა, მარჯვენაში კი — შავი. მანაც სწორედ მათი გადაკეთების ადგილას ჩაფლა განძი და დამშვიდებულმა გამოსწია ბანაკისაკენ.

მაგრამ ყაჩაღებს განძის ამბავი როგორღაც შეეტყოთ და ჩასაფრებულები ელოდნენ ჯიმის გამოჩენას. ბევრი იწვალა ჯიმმა, სანამ მთგან ერთ-ერთ ყაჩაღს ბანაკამდე მიაღწევდა. საკვდილის წინ განძის საიდუმლო მხოლოდ ჩარლს გაანდო.

დაიწყო დიდი წვიმების სეზონი. ზამბეზის წყალმა გვირაბშიც შეაღწია და, როცა წყლის დონე მდინარეში ისევ თავის ჩვეულებრივ ნორმას დაუბრუნდა, ჩარლიმ მიაშურა მდინარეს, მაგრამ განძის პოვნა თითქმის შეუძლებელად ჩათვალა — გვირაბის ფსკერი სულ ერთიანად დაეფარა შლამს, ასე რომ, წყიფარი და შავი მიწის კვალიც არსად ჩანდა. გვირაბის მთლიანად გათხრა შეუძლებელიც იყო, რადგან მის სიგრძეც დიდი და საფარიც საკმაოდ სქელი ჰქონდა. ფიქრის შემდეგ, ჩარლმა განძის მიგნების შემდეგი გზა არჩია: პირველად მიწა ამოთხარა ზუსტად გვირაბის შუაგულში. ამისათვის მან მთელი გვირაბი ნაბიჯებით გაზომა — სულ 1024 ნაბიჯი იყო, შემდეგ გვირაბის ერთი ბოლოდან მისი სილრმისკენ გადათვალა 512 ნაბიჯი. გვირაბის შუაგულში მიწა შავი აღმოჩნდა და ჩარლი მიხვდა, რომ განძი მხოლოდ გვირაბის მარცხენა ბოლოსა და შუაგულს შორის შეიძლება ყოფილიყო, რადგანაც შუაგულიდან მარჯვენა ბოლომდე მიწა სულ შავი იქნებოდა.

— რა კარგია, რომ გამოსაკვლევი გვირაბის სიგრძე ერთი ამოთხრით ორჯერ შემცირდა — იმედიანად გაიფიქრა ჩარლიმ და საქმე გაგრძელო. დარჩენილი გამოსაკვლევი გვირაბის სიგრძე ზუსტად 512 ნაბიჯის ტოლი იყო, ამიტომ მან მარცხნივ 256 ნაბიჯი გადათვალა და გვირაბის ამ მონაკვეთის შუაწერტილი იპოვა, ამჯერად წითელი მიწა შეხვდა. რადგანაც ამ ორი ფერის მიწის გადაკვეთის ადგილს ვეძებ, ალბათ განძი ახლად ამოთხრილი ორსაპალნიანი, რომელთაც არავვედა ჩარლი გვირაბში დამარხული განძის მდებარეობას. დიახ, დიახ! იგი შუაზე ყოფდა და მერე თხრიდა გვირაბის იმ ნაწილს, რომლის მარცხენა ბოლოზეც მიწა წითელი იყო, ხოლო მარჯვენაზე — შავი.

მიწის ყოველი ამოთხრის შემდეგ ნახევრდებოდა გვირაბის საეჭვო ნაწილიც. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ამ ნაწილის სიგრძე ერთ ნაბიჯამდე არ დავიდა. ამისათვის ჩარლს სულ 10-ჯერ დასჭირდა მიწის ამოთხრა. შემდეგ კი, როცა მოაბლოებული ბედნიერების შოლოდნში ძალამომატებულმა ჩარლმა უკანასკნელი ორმოც ამოთხარა, ძვირფასი განძის სრულფუფლებანი ბატონ-პატრონიც გახდა. ასე დამთავრდა ეს ძველი ისტორია, რომელშიც ჩარლი მეტად საზრიანად მოქმედებდა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ისე ასმით შემდეგნაირად შეგვიძლია ჩაეწეროთ:

ბრ. 3. გვირაბის გამოსაკვლევი ნაწილის სიგრძე k გავყოთ შუაზე და შედეგი კვლავ k-ს მივაკუთვნოთ.

ჩამოყალიბებული ალგორითმი წარმოდგენს გამოთვლითი მათემატიკის ერთ-ერთ მეთოდს და მას შუაზე გაყოფის მეთოდი ეწოდება. შუაზე გაყოფის მეთოდს იყენებენ ბევრი პრაქტიკული და თეორიული ამოცანის გადასაწყვეტად. მაგალითად, ვიპოვოთ ისეთი რიცხვი, რომლის კვადრატიც უდრის 3-ს, ე. ი. ამოვსახსნათ განტოლება $x^2=3$. ადვილი მისახვედრია, რომ საძიებელი რიცხვი მოთავსებული იქნება შუალედში (1; 2), რადგანაც $1^2=1<3$, ხოლო $2^2=4>3$. გამოვიყენოთ შუაზე გაყოფის მეთოდი და ვიპოვოთ ამ შუალედის შუა წერტილი, ე. ი. 1,5. რადგანაც $1,5^2=2,25<3$, ვიპოვოთ

ალგორითმი

რულებდა შემდეგი ალგორითმის ბრძანებებს:

ბრ. 1: გაზომე გვირაბის მთელი სიგრძე ნაბიჯებით (k=1024);

ბრ. 2: იპოვე გვირაბის შუა წერტილი;

ბრ. 3: k:=k/2;

ბრ. 4: ამოთხარე მიწა;

ბრ. 5: თუ მიწა წითელია, გადაზომე k ნაბიჯი მარჯვნივ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი — k ნაბიჯი მარცხნივ;

ბრ. 6: თუ k>1, გადადი ბრ. 3-ზე;

ბრ. 7: ამოთხარე მიწა ერთი ნაბიჯის სიგრძეზე და იპოვე განძი.

შევნიშნოთ, რომ ალგორითმის შესრულების ყოველ ეტაპზე — k-თი აღნიშნული ნაბიჯებით გაზომილი გვირაბის გამოსაკვლევი ნაწილის სიგრძე. გარდა ამისა, გავიხსენოთ, რომ „:=" ნიშანი მინიშვნელობის აღნიშნავს. მაშინ ბრძანება № 3 გაშლილი ფორმით შემდეგნაირად ჩაიწერება:

ბრ. 1: a:=1 და b:=2;

ბრ. 2: c:=(a+b)/2;

ბრ. 3: თუ $c^2>3$, მაშინ b:=c, წინააღმდეგ შემთხვევაში a:=c;

ბრ. 4: თუ (b—a)>0,01, მაშინ გადადი ბრ. 2-ზე;

ბრ. 5: x:=c.

ახლა კი თქვენ თვითონ მოიფიქრეთ, რომ ამოგხსნათ განტოლება $x^3=10,0001$ დასაშვები ცდომილებით როგორ უნდა შეიცვალოს ეს ალგორითმი.

იოსები ბლიაძე,
რაფაელ ბოფორიშვილი
მხატვარი ედ. ავდოკაძე

ინფორმატიკის კაბინეტში

ფოტო ზ. იაკობაშვილისა

ასეთი შემთხვევაც გვქონია: დაგეგმილი საკითხი „ჩაგვვარდნია“ იმის გამო, რომ უფროსი პიონერხელმძღვანელი ან თათბირზე იყო გამოძახებული, ან დირექციას ჰყავდა გაგზავნილი საქმეზე, და ასე შემდეგ. კიდევ კარგი, ჩვენი პიონერხელმძღვანელი გათხოვილი არ არის, თორემ მაშინ ალბათ სულ აღარ ექნებოდა ჩვენთან მუშაობის დრო.

როცა ამას ვამბობ, შეიძლება ვინმე შემომედაოს; კი მაგრამ, რაღა თქვენი თვითმმართველობაა, თუ უპიონერხელმძღვანელოდ ვერ ძლებთ, თავი ვერ გაგინძრევიათ და ნაბიჯი ვერ გადაგიდგამთო? აი, აქ სწორედ ის პრობლემები იჩენს თავს, რომლებზედაც ახლა მინდა მოგახსენოთ.

უფროსი პიონერხელმძღვანელისათვის ძალზე ძნელია, ყველაფერი მოასწროს, დაესწროს რაზმის შეკრებებს, რგოლის შეკრებებსაც მიაქციოს უურადღება, თან არ გაშორჩეს რაზმეულის ხაბჭოს სხვა საქმეებიც, შეასრულოს ქალაქკომიდან მიღებული დავალებები, მონაწილეობა მიაღებინოს თავის პიონერებს საქალაქო თუ რაიონულ ღონისძიებებში და ასე შემდეგ. ზოგჯერ შეკრება, შეხვედრა თუ სხვა ღონისძიება ერთმანეთს ისე დაემთხვევა ან ზედიზედ წაეწყობა ხოლმე, რომ ჩვენი ხელმძღვანელი მეტისმეტად იტვირთება. რამდენი უნდა მოასწროს ერთმა პიონერხელმძღვანელმა?

ჩვენს რაზმეულში კარგი აქტივია, მაგრამ ბევრჯერ და-

დასასრული იხ. მე-18 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილნოვი

გივი ჭიჭინაძე პიესა მხატვარი **ედ. ამბოკაძე**

მონაწილენი: უფავილები — სამყურა, პეპელა, კალია, ქარი-ქრია, ნიავ-ქარი, ცისთვალა, ია, გვირილა, ღრუბლები — ფრთაფუმფულა, ფთილა და ქულა.

სამყურა

— ბოლო იყო ეს ქუხილი,
მიწყდა ხელად...

ცისთვალა

— მალე ნახავთ: ცას მოხატავს
ცისარტყელა.

ია

— ნიავ-ქარი ახლა საით
დაჰქრის ნეტავ?

გვირილა

— ნუთუ მართლა მიგვატოვა,
გაგვიმეტა?

ცისთვალა

— არა მგონი. ის ნამდვილი
ძმაა ჩვენი...

ია

— ეს გვირგვინი, ჩემო რილა,
როგორ გშვენის.

ცისთვალა

— და სახელსაც ალბათ მიტომ
გვიმოკლებ და გვილამაზებ:
რილა! ცისა!

ია

— უფრო ტკბილად
არ ჟღერს ასე?

ცისთვალა

— ყურას ჰკითხე.

გვირილა

— ჩვენს ბუზღუნას,
სამი ყურის პატრონ ყურას?

ცისთვალა

— ვისაც ერთხელ ფეხი მართლაც
დააბიჯა ყურზე დათვმა...
(ხამთავენი იცინიან)

სამყურა

— რა გაცინებთ?

ია

— ვხარობთ, რადგან
აღარავის აღარ სცხელა...

სამყურა

— უმადლოდეთ ღრუბლებს
გვალვის დამარცხებას.
(ცას გახცქერის)
ხედავთ იმათ?

ცისთვალა

— ვხედავ, მაშ რის ცისთვალა ვარ.

სამყურა

— წყდება წვიმა...

ცისთვალა

— ჰო, ღრუბლებიც მიხვდნენ თავად
და ამ წვეთებს
მალე სულმთლად შეგვიწყვეტენ...

ია

— თქვი, რა ჰქვია ცის იმ მდგმურებს,
გრილი წყალი რომ გვასხურეს?

სამყურა

— აღარ მახსოვს. მეტისმეტად
გულკეთილი ღრუბლებია...

გვირილა

— წკაპ-წკუპ! — ტკბილად მღერიან
და ისე გვესალმებიან.

ია

— ცაში ალბათ ბევრი საქმე
თუ აქვთ ღრუბლებს,
თორემ დღემდე ერთხელ
რატომ არ გვესტუმრნენ?

გვირილა

— რასაც ამბობ, ჩემო ია,

ეტყობა, რომ მართალია.
ჩვენზე ფიქრით დაქანცულებს
სასეირნოდ სად სცალიათ.

ცისთვალა

— იცი, დაო, ეგ ღრუბლები
წვიმით სავსე
ვინ შეკრიბა აქ, ჩვენს თავზე?

გვირილა

(თავისთვის)

— იქნებ ნიამ...

სამყურა

— არა, არა, ქარმა-ქრიამ.
რა მარჯვეა! არც ძალღონე
არ აკლია.
ჩვენ — ცისთვალებს, გვირილებს
და ლამაზ იებს,
წყურვილი რომ გვკლავდა ძლიერ,
ქარმა-ქრიამ აგრძნო ხელად
და მაშინვე ეს ღრუბლები
მოგვაშველა...

გვირილა

— ნია-ნიაც დიდი როცა
გაიზრდება,
აი ნახავთ, ნახავთ მაშინ
რა იქნება.

გვირილა

— ფრთებს რომ გაშლის,
აგერ იმ ბერმუხის მსგავსად.
ქრია-ქარსაც აჯობებს და
ქარიშხალსაც...

ცისთვალა

— აღარ გახსოვთ, მწველი მზისგან
გვიცავდა და
გვედგა ფარად...

სამყურა

— ბოლოს, გვალვა რომ მომძაფრდა,
შიშით სადღაც გაიპარა.

გვირილა

— არსადაც არ გაპარულა.
დაგვიბარა: ციდან ქულა
ღრუბლებს უნდა მოვუხმოო
და სიმღერით გაჰყვა სერებს...
მერე... მერე...

(ტირილს აპირებს)

ცისთვალა

— კარგი, გეყო, ნუ იხსენებ!
ისე, დაო, შენც ხომ იცი,
გასაჭირში უქმად გდებას
სიკვდილი სჯობს. ჰოდა, ისიც,
თუ ღირსია, უეჭველად
დაბრუნდება.

სამყურა

— ქარმა-ქრიამ დაგვარწყულა,
აღარ გვცხელა.
ვინც კვლავ გვიმტრობს,
საკადრისად დასჯის ყველას.

ცისთვალა

— იმ ღრუბლებსაც — თეთრ
დობილებს,
წვიმის წვეთებს — ფერად მძივებს
ჩვენს ყირს და ლხინს ატყობინებს
და გულს დარდით არ გვიმძიმებს.

სამყურა

— გაუმარჯოს ჩვენს კარგ ქრიას!

ია

— მეგობრობაც ამას ჰქვია.

გვირილა

— თითქოს რაღაც მიკარნახე,
ჩემო ია.
მეგობრობას მართლაც
აბა რა სჯობია.
ნია-ნია, სანატრელო
მეგობარო,
იქნებ გესმას ჩვენი ხმა და
გაგვახარო...

სამყურა

— ნია-ნია, დაუბრუნდი
ნაცნობ ბაღნარს.
გეყო ფრენა აღმა-დაღმა,
გადაიქეცი ნიავ-ქარად
და ისწრაფე ჩვენკენ ჩქარა!

ია

— (მოწყენილ მეგობრებს ამხიარულებს)
მოდით, სტუმრად მოვიწვიოთ
ღრუბლები და ქარი-ქრია.

სამყურა

— (ცისკენ იყურება)
ის ღრუბლები
თითქმის აგერ, აქ არიან.

ცისთვალა

— პეპელა არ დაივიწყოთ,
კუტკალიაც.

სამყურა

— ყველა, ვისაც ჩვენთან მოსვლა
უხარია.

გვირილა

— ნია-ნიას ახარებდა
ჩვენთან ყოფნა.
ვქროდით ერთად.

ცისთვალა

— ახლა ყველა დაგვაობლა.
უიმისოდ ცეკვას რაღა
ხალისი აქვს.

გვირილა

— ეს ქონდარა სამყურებმა
რა იციან...
არც პეპელამ, არც კალიამ
და არც ქრიამ.

ია

— რა საამო დარი დადგა,
როგორ გრილა.

ცისთვალა

— ჯავრი მაინც გულს ვერ
ჩვენს გვირილას.

სამყურა

— ყვავილებო, აბა მარდად
ცეკვა! ტაში!
საზაფხულო ცეკვას ვმართავთ
ჩვენს ბაღნარში.

უეცრად ქარი-ქრია ღრუბლებთან ერთად შემოქრიალდება და მოცეკვავე გვირილას გვერდით ამოუდგება.

ია

— დაო, ხედავ ქარი-ქრიაც
მოფრენილა.

სამყურა

— ის ღრუბლებიც, —
რომ გვიმღერეს დილით
ტკბილად.

ქულა

— ხომ გვიცანით, მეგობრებო?

სამყურა

— გამარჯობათ.
რატომ უნდა გაგვიჭირდეს
თქვენი ცნობა!
დასიცხულებს ვინ გვაწვდიდა
ციურ ნობათს...
თუმცა მაინც ვერ მოვყვები
ფიცილ-მიცილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ვქნა, თქვენი სახელები
ჯერ არ ვიცი.

ფთილა

(ცისთვალას ხელს ართმევს)

– მე ფთილა ვარ!

ცისთვალა

– მე – ცისთვალა!

სამყურა

– მე – სამყურა!

ქულა

– მე ზეცაში მეძახიან
გულად ქულას,
რადგან ამათ ავუმხედრდი
და დღეიდან
გადავწყვიტე, თქვენს ბაღნარში
დავრჩე სულაც.

ია

(ფრთაფუმფულას)

– თქვენ რა გქვიათ?

ფრთაფუმფულა

(დაიმორცხვა)

– ფრთათუმფულა..
თქვენ, დობილო?

ია

– მე? მე – ია.

ფრთაფუმფულა

– რა ლამაზი სახელი გაქვთ,
ვენაცვალე თქვენს ნათლიას!
აბა ჩემსას კი არა ჰგავს,
გაწელილს და სასაცილოს...

ია

– მერე სახელის გამოცვლას
მითხარ, დაო, რად არ ცდილობ?
ფრთაფუმფულას არ სჯობია,
გერქვას ფუმფუ ანდა ულა.
მოდი, ხან ეროს, ხან მეორეს
დაგიძახებთ მეგობრულად.
თანახმა ხართ?

ფრთაფუმფულა

– თანახმა ვარ.
ადრე რად ვერ მივხვდი თავად.

გვირილა

(ცეკვა-ცეკვით ღრუბლებთან მივიდა)

– რადგან ბოლო
თქვენ მოუღეთ გვალვას ბოროტს,
მინდა შუბლზე გეამბოროთ
(სათითაოდ ეამბორა)
ქულა, ულა,
ნაზო ფთილა,
თქვენ რომ არა...
(ტირის)

სამყურა

(ამშვიდებს)

– კარგი, კმარა!

ფრთაფუმფულა

– ჩვენ კი არა,
აგერ ქრიას უმადლოდეთ...

ფთილა

– ჩვენ ისედაც უნდა ვრწყავდეთ
მინდვრებს, კორდებს...

ქულა

– დიახ, ეს ღრუბელთა წმინდა
ვალი გახლავთ.

ფრთაფუმფულა

– იმიტომ ვართ იქ, ზეცაში
ისე მაღლა...

ფთილა

– ძირს თვალ-ყური რომ ვადევნოთ.

ქულა

– დავეხმაროთ ყველა მცხოვრებს...

ფრთაფუმფულა

– და ჩვენს ამბავს
თქვენც თუ ასე იმახსოვრებთ,
ამაზე მეტს რაღას ველით.
ო, პირიქით – მადლობელი
ჩვენ ვართ თქვენი!

სამყურა

– რასა ბრძანებთ!

ფრთაფუმფულა

– ასეთია ჩვენი წესი;

ქულა

– სიკეთის ქმნა
სიამეა უდიდესი.

ფთილა

– ამ სიამეს სამივენი
ერთად ვიყოფთ...

ქრია

– მორჩით, გეყოთ,
თუ ლხინია, ლხინი იყოს!
აბა, ტაში! გვირილასთან
ცეკვა მინდა...
(გვირილას იწვევს)

გვირილა

– ო, ისევ მე?!
თავბრუ მესხმის დღეს დილიდან.
ქარო, იცი, გასართობად
არ მაქვს საქმე...

ქულა

– მაშინ იამ,
ირგვლივ ზღაპრულ
სუნს რომ აკმევს,
იამ უნდა გაგვახაროს
ნაზი ცეკვით, ან სიმღერით.

ფრთაფუმფულა

– დაო, გელით...

ია

– კარგი, გამოცანას გეტყვით.
მახსოვს, რაღაც ძველისძველი:
აცა-ბაცად, აქეთ-იქით
დაფარფატებს ჭრელი ფიფქი.
დღეებს ითვლის, წამებს ითვლის,
ყვავილები ვბრუნავთ მისთვის.
ახლა, ვიდრე სამს დავითვლი,
ფიფქს რა ჰქვია, აბა მიხვდით!
ერთი! ორი! სამი!

ქულა

– ნამი!

ფრთაფუმფულა

— წვეთი!

ქრია

— მივხვდი, ვხედავ ლამის...
პეპელაა! აგერ, ჩვენ წინ
დგას ფრთიანი მოსასხამით.

ცისთვალა

— თან ხტუნიაც მოჰყვა, შეხეთ,
როგორ იქნევს კნაჭა ფეხებს.

ქრია

(პეპელას მიეცეკვა)

— ახლა ცეკვას გავაჩაღებთ,
ვეღარავინ შეგვაფერხებს!

პეპელა

— იქით, იქით!

ქრია

— გაშალე ფრთა!
წინ გავვარდეთ, აბა, სხარტად!

კალია

— არა, ქარო, შენთან ერთად
ვერ იცეკვებს ფრთაფარფატა.

ქრია

— ვითომ რატომ?

კალია

— ნაზია და
აქვს ძალიან თხელი ფრთები.

ია

— შენ კი... ცოტა უხეში ხარ,
მიხვდი?

ქრია

— ვერა.

გვირილა

— ვერც მიხვდები!

(ყვავილები იცინიან)

ქრია

(გაბრაზდა)

— მე დამცინით?
მე, თქვენს მფარველს,
წუხილი რომ გაგიქარვეთ.

სამყურა

— არა, ქრია, არ გეწყინოს...

ცისთვალა

— ეთამაშე აგერ ალვებს...

პეპელა

— ამ თეთრ ღრუბლებს...

ია

— ან კალიას.

კალია

— პეპელასთან ცეკვა მინდა,
დღეს მაგისთვის სად მცალია!

(პეპელას გვერდით მიუდგა)

ნუ კრთი, მინდვრის დედოფალო!

(პეპელამ ფრთა გაშალა, კალია ლაღად გაბეჭვა).

გვირილა

— თეთრი ფატა როგორ ხატავს!

ქულა

— რა ნაზი და ნარნარია!

ფთილა

— კალია მთლად გადარია.

ია

— დაუბრიცა ქრიას თვალი.

ფრთაფუმფულა

— აი, ცეკვაც ამას ჰქვია!

ცისთვალა

— არ დაგვეწვას დედოფალი,
ორთა ცეცხლში გაეხვია.

ქრია

(პეპელას და კალიას წამით ჩამოშორდა)

— კუტკალია მამეჯობინა!
მე ვიღა ვარ მაშინ, ვინა?!

სამყურა

— ქრია, მოდი, ჩვენ ვიცეკვოთ,
რადგან იმან გაწყენინა.

ქრია

(დასცინა)

— მართლა?
ნეტავ გეთქვა ადრე.

ჰა, გაშალე ფრთები კარგად.

(სამყურამ ქრიას ხიტყვა დაიჭერა, ფრთა გაშალა)

შენ თავს როგორ გაგიყადრებ,
დაგვაჯულხარ გვალვისაგან.

ქულა

— ეს რა ჰკადრა დიასახლისს!

პეპელა

— ახლა ჩვენკენ მოჰქრის, ხედავ!

კალია

— მტვერს და ნეშოს თვალში
გვაყრის.

ცისთვალა

— მეტისმეტად გათავხედდა.

კალია

— წამო, იმ ბუჩქს შევეფაროთ.

პეპელა

— რა ვქნა, აღარ მაძლევს საშველს!

ფრთაფუმფულა

— დაეხსენი მაგას, ქარო,
აგერ ფთილას ეთამაშე!

ქრიამ ირგვლივ საშინელი კორიანტელი დააყენა. მოცეკვავე წყვილს შუაში ჩაუხტა და სათითაოდ აქეთ-იქით მოიხროლა.

ქრია

— მაშ ეს ცეკვავს ჩემზე უკეთ?!
ეს ბრეცია — თვალჭყეტელა?

სამყურა

— არა, საზღვარს გასცდა უკვე.

ი ა

— მოგვაბეზრა თავი ყველას.

ქრია

— გვალვისაგან ვინ დაგიხსნათ?

ცისთვალა

— მაგას როგორ დაგივიწყებთ.

სამყურა

— სწორედ მაგ სიკეთის ნიშნად
მოგიწვიეთ...

ფთილა

— ჩვენც ნუ გვიწყენ...
რომ გვაოცებს ქცევა შენი!

ქულა

— ნამდვილ ვაჟკაცს — სიკეთის
მქმნელს
ასეთი რამ როდი შვენის.

ქრია

— არ მჭირდება ჭკუის სწავლა,
თქვენზე კარგად ვიცნობ ამათ.

სამყურა

— ის, რაც დილით გვარგო წამლად,
ახლა სულმთლად ჩაგვაშხამა

ქრია

— სტუმრად რისთვის მომიწვიეთ,
თუ არ გქონდათ ჩემი ხათრი.
რად გავბრიყვდი, ვნანობ ძლიერ!

ცისთვალა

— გესმით, ისევ თავს გვამადლის!

ფრთაფუმფულა

— სად გარბიხარ? ეი, ქრიავ!

ფთილა

— ჩვენ აქ გვტოვებ!

სამყურა

— დაიცადე!

ფრთაფუმფულა

— მაგან თუ არ დაგიქროლა,
რა აგიყვანს აბა ცამდე!

ქრია

— ვერ ახვალთ, და აი, დარდი!
(მირბის)

ფთილა

(შეწუხებულია)

— მართლა მიგვატოვა!

ფრთაფუმფულა

— არა, ეგ აქ აღარ მოვა!

ქულა

— არ მოვა და არც გვჭირდება!
მაგ ქრიასთვის არც ღირს გლოვა.
თვითონ ავყვეთ სივრცეს მაღლა.

ფთილა

— როგორ ავყვეთ?!

ქულა

— ხომ გვაქვს ფრთები!

ფრთაფუმფულა

— თუ არ დაგვკრა ზურგის ქარმა,
ვერსადაც ვერ გავფრინდებით.

ქულა

— რაო? დღემდე არც ვიცოდი,
ფრთები უქმად რომ გვქონია!

ფთილა

— აი, ნახავთ, ჩვენი ცოდვით
რა მოუვა გულქვა ქრიას.

სამყურა

— საღამომდე ჩვენთან დარჩით...

ცისთვალა

— ხვალ დილამდეც, თუ ისურვებთ.

პეპელა

— გასეირნებთ ჩვენს ბაღნარში,
არ მოგაკლებთ იის სურნელს.

ფრთაფუმფულა

— თქვენთან ყოფნას ჩვენც
ვნატრობდით,
მაგრამ ხედავთ, ცის ტატნობი
კვლავ წითლად რომ აფერადდა...

ფთილა

— შინ დავბრუნდეთ, აბა მარდად!

ფრთაფუმფულა

— თორემ მალე ის მზექალა
აქ სხივთა ჯარს გამოგზავნის...

სამყურა

— ყვავილნარში გადაგმალავთ.

გვირილა

— გაგარიდებთ, ნუ გაქვთ ჯავრი.

ფრთაფუმფულა

— როგორ უნდა გაგვარიდოთ,
მიწაზე ხომ ვერ ვძლებთ
დიდხანს.

ფთილა

— ვერაფერი ვერ გვიშველის,
ქარმა თუ არ მოგვაკითხა.

ქულა

— ქარი აღარ მოვა ნებით.

ფრთაფუმფულა

— და მეც სწორედ მაგას ვჩივი...
უცებ ჩამოვიღვენთებით
დაძენძილი ტომრებივით.
(ფთილა და ქულა ტირილით აყვებიან
ფრთაფუმფულას)
მერე ეს მზე — ავის მაცნე —
ქულა ლრუბლებს ნამცეც-ნამცეც
აქეთ-იქით გაგვფანტავს და
მწუხარების ცრემლად გვაქცევს...

ცისთვალა

— ჩუ! ჩუ! გესმით, ალვებს მიღმა
სტვენა-სტვენით დაჰქრის ვიღაც.

სამყურა

— აშრიალებს ხეთა ფოთლებს...
ვის მოუხმობს? რა აშფოთებს?

ცისთვალა

— ალბათ ქრია დაგიბრუნდათ.

ი ა

— თქვენი შერიგება უნდა

ფრთაფუმფულა

(ახძახის)

— მოგვიტევე, ქრია-ქარო,
ქარო, ჩვენო მეგობარო,
ძირს დაეშვი ფრინდი, ფრინდი,
კეთილ ლრუბლებს შეგვირიგდი.

ნიავ-ქარი

(ხიხინ-ხიხინითა და სტვენა-სტვენით
შემოქრიალდა)

— გამარჯობათ, ყვავილებო,
მენატრებით რახანია.
დღე დამიდგა საოცნებო...

გვირილა

— ნია!

ი ა

— ნია!

ცისთვალა

— ნია!

სამყურა

— ჩვენ გვეგონე ქრია-ქარი,
ამ ლრუბლების მეგობარი...

გვირილა

— იცი, მთელი კვირა გიხმობთ.

სამყურა

— მაინც დროზე მოგვისწარი,
თორემ, ნია, ის-ის იყო,
იწყებოდა გლოვის ზარი.

ნიავ-ქარი

— ჰო, რა მოიდა?

სამყურა

— კეთილ ღრუბლებს,

ია

— ქრიამ აქ რომ მოგვიყვანა,
უნდათ ზეცას დაუბრუნდნენ...

ნიავ-ქარი

(ღრუბლებს)

— ამისათვის სწუხართ განა!
ქრრრ! ახლავე ამ ფრთებს
გავშლი
და აგაფრენთ წამსვე ცაში.
ისევ ის ხომ არ გგონივართ
უსუსური ბიჭუნია?!
რომ ვიხსენებ, გული მტკივა...

ცისთვალა

— მაშინ ციცქნა იყავ, ნია.

სამყურა

— ახლა, ვიდრე ნიავ-ქარი
ღრუბლებს ცისკენ გააქროლებს,
საცეკვაო დაუკარით,
წრეში უხმეთ თანატოლებს...

ისმის საცეკვაო მუსიკის ხმა... ნიავ-ქარი გვირილას გამოიწვევს... მთელი ბაღნარი ფერად-ფერადი ყვავილებითა და მწერებით ივსება.

მე მიყვარს ჩემი სამშობლო

მე მიყვარს ჩემი სამშობლო,
მისი კეკლუცი მთა-ბარი,
ჩემი დედა და მამიკო,
და-ძმა, ბებია თამარი,
მიწაზე — ყველა სულდგმული,
ცაში — ფრინველი ფრთამალი,
მწვანედ მოსილი ტყეები,
ყანა-ბაღები, ტრამალი...
თუ ვინმეს რამე ეტკინა,
ვიქნები მისი წამალი.

ახალი წლის წინადღე

თოვლი მოდის, თოვლი მოდის,
ფანტელები ცვივა.
მთა-ბარს ქურქი წამოუსხამს,
მაგრამ მაინც სცივა.
ცაში კვამლი ასვეტილა,
ყველა სახლში თბილა.
ხვალ სოფელი იზეიმებს
ახალი წლის დილას!

ლალი მაღრაძე.
ხარაგაული, მარელისის საშუალო სკოლა, VII კლასი.

ჩემი სოფელი

მთები! მთები!

ერთმანეთზე შედგმული მთები... თითქოს ხელიხელგადახვეულ დევკაცებს ფერხული ჩაუბამთ და შუაში ლამაზი პატარძალივით მოუქცევიათო ჩემი სოფელი დღნორისა.

იგი რიონის მარცხენა ნაპირზე, მთის კალთაზეა შეფენილი, ლეჩხუმის მხარეს. შუაში მდინარე ცივწყალა ჩამოუდის. მდინარეზე წისქვილებია ჩამწკრივებული, ერთ-გამოგამოღმა კი სამასამდე სახლია.

კოკისპირული წვიმა იცის ჩემს სოფელში. ხელად ადიდდება ცივწყალა, აბობოქრდება და ველარავინ იცნობს ტკბილად მოდუდუნე მშვიდ მდინარეს.

მექვენიდან ჩემს სოფლამდე აღმართ-აღმართ მიდის გზა. მთელი გზის გასწვრივ დარაჯებივით დგანან ვაშლის ხეები და ასკილის ბუჩქები. ქვემოთ ცისფერ ნისლში გახვეული ხეობა მოჩანს, შორს ლურჯი მთები აღმართულა, ვერცხლისფერი რიონი წასულა, წასულა და მერე ისევ გაჩერებულა, თითქოს აქედან წასვლისა ეშინიაო.

ჩემს სოფელში გამრჯე, კეთილი და თავაზიანი ხალხი ცხოვრობს. გიცნობს თუ არ გიცნობს, დღნორისელი მაინც მოგესალმება, მოგიკითხავს კიდეც.

ლამაზია ჩემი სოფელი. მეათასეჯერ დავეწაფები ანკარა ცივ წყაროს, ვეწვევი მწვანე ხალიჩასავით გადაჭიმულ ველ-მინდვრებს, თამარის ნაშენი ციხის კედლებს ვესტუმრები, ჟამთა სიავეს ქონგურები რომ ჩამოუნგრევია, და მაინც არ დავიღლები.

ო, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს მთებში ჩაკრული ჩემი უბერებელი სოფელი, სიახლით რომ ბრწყინავს და სიძველეს ჭაღარასავით იმშვენებს.

ინგა კახიძე,
წყალტუბო, დღნორისის საშუალო სკოლა, VII კლასი.

დაბრკოლებათა დაძლევის გზები

(დასასრული)

მოუკიდებლად მაინც ვერ ვაკეთებთ საქმეს; როდესაც გავაანალიზეთ ჩვენი საქმიანობა, ბევრი ფიქრისა და კამათის შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივედით: პიონერული თვითმმართველობა მხოლოდ მაშინ გაამართლებს, თუ თითოეულ პიონერს ექნება პასუხისმგებლობა თავისი ორგანიზაციის წინაშე. ეს კი აუცილებლად დაწყებითი კლასებიდან უნდა დავიწყოთ. სამოქმედო პროგრამად დავისახეთ, გავაძლიეროთ მუშაობა ოქტომბრელთა ჯგუფებთან, მხარს ვუჭერთ საკავშირო შეკრების გადაწყვეტილებას: არც ერთი პიონერული რაზმი არ დარჩეს უხელმძღვანელოდ. როგორც კი რაზმი შეიქმნება, მაშინვე უნდა მივუჩინოთ კომკავშირელი რაზმის ხელმძღვანელი. რაზმეულში რამდენიმე რაზმს წისქვილკომბინატის ახალგაზრდებიც ჰყავს რაზმის ხელმძღვანელებად, მაგრამ ხშირად ისინი თავისივე რაზმის ღონისძიებებზე მოწვეული სტუმრების როლში უფრო გამოდიან, ვიდრე მასპინძლების. არც ჩვენი უფროსკლასელი კომკავშირელები იჩენენ სათანადო ყურადღებას ჩვენს მიმართ. ვფიქრობ, უფრო უნდა გაიზარდოს სკოლის კომკავშირის პასუხისმგებლობა, აუცილებლად შესრულდეს საწესდებო მოთხოვნა პიონერებზე კომკავშირის ხელმძღვანელობის შესახრულებლად. თუ რაზმის ხელმძღვანე-

ერთგული მეგობრები

დეკემბრის ნაღვლიანი დღე იდგა. ჩემს საყვარელ გორდში ვიყავი. ამჯერად დამწუხრებული და დადუმებული იყო ჩემი დედულეთი. გუშინ დავასაფლავეთ ბაბუა — ცხოვრების ათას ჭირში გამოვლილი. დიდხანს გუგუნებდა ეზოში სასულე ორკესტრი. იგი, ბაბუას ხსოვნის პატივსაცემად, სამხედრო კომისარიატიდან გამოგვიგზავნეს. მერე კი ყველაფერი მიწყნარდა. უფროსებს საფიქრალი და საფუსფუსო გვიან დაელიათ. საღამოს პირზე მე და ჩემმა დეიდაშვილმა გოგიტამ ჩვენი ეზოს ძაღლები მოვისაკლისეთ; კარგა გვარიანად შეღამდა, ისინი კი არსად ჩანდნენ.

დილით, გაღვიძებისთანავე, სოფლის სასაფლაოსკენ გავწიეთ. შემზარავი ყმუილი შორიდანვე მოგვესმა. ბაბუას ძაღლები მის საფლავს შემოწყობოდნენ გარს მოტირალი ქალებივით და საცოდავად ყმუოდნენ. რომ დაგვინახეს, ჩვენკენ გამოიქცნენ. გული დაგვეწვა, უფრო ცხადად ვიგრძენით ჩვენი საყვარელი ბაბუას დაკარგვა, მერე გოგიტამ მოიფიქრა: კაშნეები მოვიხსენით, ერთმანეთს გადავაბით და ამ თოკით ბაბუას ერთგული მეგობრების სახლში ძალით წაყვანა ვცადეთ. როდის-როდის მოვერიეთ. მერე, ჩვენი ეზოს ჭიშკართან ბებიაც რომ ალერსით და მჭადის ნაჭრებით დახვდა, ძაღლებმა ცოტა გული მოიბრუნეს, თვალები კი ისევ გამოუთქმელი ნაღველით ჰქონდათ სავსე.

ლევან ჯალაღანია,
ქუთაისი, 29-ე საშუალო
სკოლა, VII კლასი.

პეიზაჟი

ზორენა
ჯიშკარიანი,
ლაგოდეხი,
ლელიანის
საშუალო
სკოლა,
VIII კლასი.

პიონერი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი

№ 2

წვიმა თბილისში

წვიმს,
მარგალიტის წვეთებით
ირთვება თბილისის ხედები.
მივყვები ლურჯ ქუჩას მოხდენილს
ჩემეულ ფიქრით და ოცნებით.
ხან მტკვარი მხიბლავს,
ხან დაბლიდან
შევხარი მეტეხს და მთაწმინდას.
წვიმს, მაგრამ მე როდი ვსველდები,—
თბილისის სანთელად ვენთები.

მირანდა ჭიჭინაძე,
ზუგდიდი, მე-3 საშუალო
სკოლა, VIII-ბ კლასი.

ზამთარი ჩემს სოფელში

ჩემს სოფელს კარზე მოადგა
ქარბუქიანი ზამთარი,
თოვლით შემოსა გარემო,
გადაათეთრა მთა-ბარი.
ტურა და მგელი დაიმშნენ,
ხევ-ხუვში დაძრწის ნადირი,
სოფელში ლხინი გახშირდა,
ფრიალებს კვამლის მანდილი.

ელზა ცერცვაძე,
საჩხერე, სისვაძეების რვაწლიანი
სკოლა, VII კლასი.

ლი კარგია, მას არც კლასის ხელმძღვანელის დახმარება მოაკლდება.

ზოია ხელმძღვანელის ზინამძღოლობით ჩვენი რაზმეული ბევრ საინტერესო საქმეს აკეთებს და მომავალშიც ბევრი რამ გვაქვს დაგეგმილი. რაზმეული „ქართველი ოსტროვსკის“ — ანდრია სინაურის სახელის მოსაპოვებლად იბრძვის. გადავწყვიტეთ, სკოლაში ნიკოლოზ ოსტროვსკისა და ანდრია სინაურის მუზეუმი მოვაწყოთ. ვაშენებთ ანდრია სინაურის სახელობის ხეივანს, ვაგროვებთ მოძმე რესპუბლიკათა ენებზე გამოცემულ „როგორ იწრთობოდა ფოლადს“. შევქმენით შრომითი ბრიგადა, რომელიც სისტემატურად მუშაობს წისქვილკომბინატში, ზაფხულში კი რამდენიმე ბრიგადა იმუშავებს. გამომუშავებული თანხა გვინდა ბავშვთა ფონდში გადავრიცხოთ.

წლეულს რაზმეულის მუშაობას საკავშირო კომკავშირის 70 წლისთავის შესახვედრად წარვმართავთ. ამ თარიღისათვის ჩვენი ზოია ხელმძღვანელი ალბათ უკვე სკკპ წევრობის კანდიდატი იქნება. და აქ მინდა კიდევ ერთი საკითხი დავაყენო: უფრო სწორი ხომ არ იქნებოდა, რომ კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა პარტიის რიგებში შესახვლელად უფროსი პიონერხელმძღვანელებისათვის რეკომენდაციის გაცემისას რაზმეულის საბჭოების აზრიც გაითვალისწინონ? ჩვენ ყოველთვის მზადა ვართ, ჩვენს მიმართ გამოჩენილ სიყვარულს, თანადგომას, ზრუნვას სიყვარულითვე ვუპასუხოთ.

არა მარტო ჩემი სკოლის, მთელი ქუთაისელი პიონერების სახელითაც გპირდებით, ისე ავაწყოთ რაზმეულში საქმიანობა, რომ ჩვენი ორგანიზაციის ნამდვილი ბატონ-პატრონები გავხდეთ“.

ნიანგების ომი

ორასიო კიროგა

ზღაპარი

მხატვარი იოსებ სამსონაძე



ერთ შორეულ ქვეყანაში დიდი, წყალუხვი მდინარე მიედინებოდა. მდინარეში ბევრი ნიანგი იცოდა, ალბათ ასზე, ან იქნებ ათასზე მეტიც იყვნენ. ნიანგები თევზით იკვებებოდნენ და მდინარეზე წყლის დასალევად მისულ ცხოველებსაც ჭამდნენ, უფრო კი თევზს ანადგურებდნენ. საღამოობით, როდესაც კარგად დანაყრდებოდნენ, მდინარის ნაპირზე აბობღდებოდნენ, ქვიშაზე არხეინად გაიშოტებოდნენ და ისვენებდნენ. ხან კი, როცა სავსე მთვარე ამოკურდებოდა, მწვანე წყალში ანცობდნენ.

ცხოვრობდნენ ასე მშვიდად და ბედნიერად, მაგრამ აი ერთხელ, როდესაც ქვიშაზე გაწოლილებს ტკბილად ეძინათ, უეცრად ერთმა ნიანგმა თვალი დააჭყიტა და თავი წამოსწია. იგი უცნაურმა ხმაურმა გააღვიძა. კარგად რომ მიაყურა, შორიდან რაღაც ყრუ გუგუნი შემოესმა და უმალ თავის გვერდით მწოლი გააღვიძა:

— გაიღვიძე, საფრთხეში ვართ!

— რა მოხდა? — დაფეთდა მეორე ნიანგი.

— არ ვიცი, რაღაც უჩვეულო ხმა მესმის.

მეორე ნიანგმაც მიაყურა და, როცა უცნაური გუგუნი იმანაც გაიგონა, წამში დანარჩენებიც გააღვიძეს. გუგუნი თანდათან მატულობდა. დამფრთხალი ნიანგები კუდაბზეკილები დარბოდნენ წინ და უკან.

ნიანგები ტყუილად არ შეშფოთებულან, რადგან ხმაური, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძალუმად გაისმოდა. მალე მათ რუხი კვამლის მსგავსი რაღაც დაინახეს და კიდევ უფრო უცნაური ხმა გაიგონეს — დგაფ-დგუფ, თითქოს სადღაც შორს ვიღაც წყალზე მოთხლაპუნობდა.

ნიანგებმა ერთმანეთს გადახედეს, ნეტავ რა უნდა იყოსო.

ერთმა ყველაზე ხნიერმა, ბრძენთა ბრძენმა ნიანგმა, რომელსაც თავის დროზე მთელი ეს გრძელი მდინარე გაეცურა და ზღვამდეც კი მიეღწია, ახლა კი სიბერისაგან პირში ორი კბილიღა შერჩენოდა, მოულოდნელად გამოაცხადა:

— მე ვიცი, რაც არის ეგ!.. ვეშაპია! ვეშაპები ვეებერთელა ცხოველები არიან, ცხვირიდან წყლის სვეტს მაღლა სტყორცნიან და მერე ის სვეტი ისევ წყალზე ეცემა.

ამის გაგონებაზე პატარა ნიანგები უარესად დაფეთდნენ, საშინელი გნიასით მდინარეში გადაეშვნენ, ყვინთავდნენ და გაჰყვიროდნენ:

— ვეშაპი ყოფილა! ვეშაპი! აქეთ მოცურავს!

ბებერმა ნიანგმა კუდზე მოქაჩა მის მახლობლად მყოფ პატარა ნიანგს და იყვირა:

— რას დაფეთდით! კარგად ვიცი, რა შვილიც ბრძანდება ვეშაპი, თავად ეშინია ჩვენი და მარტო ჩვენი კი არა, ყველასი ეშინია!

ამის გამგონე პატარა ნიანგებს ცოტა გულზე მოეშვათ, მაგრამ მალე ისევ აფორიაქდნენ, რადგან რუხი კვამლი შავად დაიფერა და ახლა მათგან სულ ახლოს გაისმა დგაფ-დგუფი. ნიანგებმა ისე ჩაყვინთეს, რომ წყლის ზედაპირზე მხოლოდ ცხვირის წვერი და თვალები მოუჩანდათ. განაბულები უთვალთვალებდნენ, როგორ მიცურავდა მათ თვალწინ დგაფა-დგუფით უზარმაზარი კვამლის ღრუბლებში გახვეული რაღაც. ეს თურმე უზარმაზარი ბორბლებიანი გემი იყო და პირველად შემოსულიყო ამ მდინარეში.

გემმა ნიანგებს ჩაუარა და მდინარეს გაჰყვა. ჩაისრიალა თუ არა, ნიანგები ერთიმეორის მიყოლებით ამოსხლტნენ წყლის ზედაპირზე და ბებერ ნიანგს ლანძღვა დაუწყეს, რად მოგვატყუეო.

— ვეშაპი არ ყოფილა! — ყურში ჩასძახოდნენ ბებერს, რადგან ყურს აკლდა. — მაშ რა იყო, რამ ჩაგვიცურა გვერდით?

მოხუცმა ნიანგმა აუხსნა, რომ ეს იყო ცეცხლით დატენილი გემი და რომ, თუ იგი აქ დაიწყებს ცურვას, ნიანგები გაწყდებიან.

ნიანგებს სიცილადაც არ ეყოთ ბებრის ნათქვამი, იფიქრეს, ჭკუიდან გადავიდაო. რატომ გავწყდებით, თუ გემი აქ იცურებს? არა, საცოდავი ბებრუხანა ნამდვილად გადაირიაო.

ამასობაში ყველას მოშივდა. თევზს დაუწყეს ძებნა, მაგრამ ერთი თევზიც ვერ იპოვეს. ვერც ერთი! გემის გუგუნით დამფრთხალი თევზი სადღაც მიმალულიყო.

— აკი გითხარით! ახლა საჭმელი აღარა გვაქვს, თევზი გადაიკარგა, — თქვა მოხუცმა ნიანგმა. — დავიცადოთ ხვალამდე. იქნებ აღარ ჩამოიაროს გემმა და, როცა შიში აღარა-

ფრის ექნება, თევზი დაბრუნდება.

მაგრამ მეორე დილას კვლავ გაისმა გუგუნი და ნიანგებს ისევ დგაფა-დგუფით ჩაუსრიალა კვამლის შავ ღრუბლებში გახვეულმა გემმა.

— მაშ ასე, — თქვეს ნიანგებმა, — გემმა გუშინ ჩაგვიარა, დღესაც ჩაგვიარა, არც ხვალ დაგვივიწყებს. თევზი აღარ დაბრუნდება, აღარც ცხოველები მოვლენ წყლის დასალევად, ჩვენ კი შიმშილით დავწყდებით. მოდით ჯებირი ავაშენოთ!

— ჯებირი! ჯებირი! მარტო ჯებირი გვიშველის, — ერთხმად შესძახეს ნიანგებმა და ნაპირისკენ გაცურეს.

აღარ დაუყოვნებიათ, უმალ შეუდგნენ ჯებირის შენებას. პირველ რიგში ყველა ტყეში წავიდა. ათი ათასზე მეტი ხე წააქციეს, უფრო კი ლაპაჩოს და კებრაჩოს[1] არჩევდნენ, რადგან მათ ძალზე მაგარი, გამძლე ზრო აქვთ. შემდეგ ხეები საკუთარი კუდებით დახერხეს, ნიანგებს ხომ კუდზე პატარა ხერხი აქვთ წამოზრდილი. დახერხილი ხე მდინარეში ჩააცურეს და ფსკერზე, ერთი-მეორისაგან თითო მეტრის დაშორებით მდინარის მთელ სიგანეზე ხიმინჯებივით ჩაასვეს. ასე რომ, ვერც ერთი გემი იქ ვერ გაივლიდა, ვერც დიდი, ვერც პატარა. ნიანგებმა უკვე გული დაიარხეინეს, ველარავინ დაგვიფრთხობს თევზსო. როგორც კი მორჩნენ საქმეს, მძიმე შრომით დაქანცულები იქვე მდინარის პირზე გაწვნენ და დაიძინეს.

მეორე დილით ნიანგები ჯერ კიდევ ძილში იყვნენ, როცა ნაცნობი დგაფა-დგუფი გაისმა და მდინარეში გემი გამოჩნდა. თუმცა, ნიანგებს რაღა ესაქმებოდათ გემთან? თავიც არ წამოუწევიათ, იდგანდგაროს რამდენიც უნდა, აქ მაინც ვერ გაივლისო.

მართლაც გემი ჯებირს არც კი მიახლოვებია, მოშორებით გაჩერდა. გაოცებული ხალხი გემბანიდან ჭოგრიტით ათვალიერებდა უცნაურ ნაგებობას, რომელსაც მდინარე გადაეკეტა. ბოლოს გადაწყვიტეს ნავი ჩაეშვათ და გამოერკვიათ, ეს რა გვიღობავს გზასო. მაშინ კი წამოიშალნენ ნიანგები, ჯებირს მიაშურეს, ხიმინჯებს შუა თავები გაყვეს და გულიანად ახითხითდნენ, რა მარჯვედ გავაცურეთ მტერიო.

ნავი ხიმინჯებთან მიცურდა, შიგ მჯდომმა ადამიანებმა დაინახეს ნიანგების მიერ აგებული გიგანტური ჯებირი და უმალ უკან გაბრუნდნენ. მალე ნავი ისევ მოცურდა ჯებირთან და ერთმა შიგ მჯდომთაგანმა დაიყვირა:

— ჰეი, ნიანგებო!

— რას გვიბრძანებთ? — უპასუხეს ხიმინჯებშუა თავგამოყოფილმა ნიანგებმა.

— ჩვენ ეს ხელს გვიშლის!

— გასაგებია!

— გემი აქ ველარ გაივლის!

— დიდებულია!

— დაშალეთ ჯებირი!

— არ დავშლით.

ნავში ერთხანს ითათბირეს, მერე კი დაიძახეს:

— ჰეი, ნიანგებო!

— რას გვიბრძანებთ?

— მაშ არ დაშლით, არა?

— არა!

— კეთილი. აბა მალე შევხვდებით!

— როცა ინებებთ!

ნავი გემთან დაბრუნდა, სიხარულით გადარეული ნიანგები კი კუდებს წყალს უტყლაშუნებდნენ, აქ გემი თავის დღეში ველარ გაივლის და თევზი ნიადაგ გვექნებაო.

მაგრამ მეორე დღეს გემი კვლავ გამოჩნდა და მის დანახვაზე ნიანგებს გაოცებისაგან ენა ჩაუვარდათ. ახლა გემი სულ სხვანაირი იყო, უზარმაზარი, გუშინდელზე გაცილებით დიდი. რა გემია ეს? ამასაც აქ უნდა გავლა? ვერა, ვერ გაივლის! ვერც გუშინდელი, ვერც ეს და საერთოდ ვერც სხვა რომელიმე გემი.

— ვერა, ვერ გაივლის აქ! — დაიყვირეს ნიანგებმა, მიცვივდნენ ჯებირთან და ყველამ თავთავის ადგილი დაიკავა.

ეს ახალი გემიც, წინანდელივით ჯებირის შორიახლო გაჩერდა და ნავი ჩამოუშვა. ნავში ოფიცერი და რვა მეზღვაური იჯდა. როდესაც ჯებირს მიუახლოვდნენ, ოფიცერმა დაიყვირა:

— ჰეი, ნიანგებო!

— რას გვიბრძანებთ?

— არ დაშლით?

— არა!

— მაშ არა?

— არა!

— კარგი, — თქვა ოფიცერმა, — თუ ასეა, ქვემეხებს ავამოქმედებთ და თქვენს ჯებირს ჩავძირავთ.

— ჩაძირეთ, — უპასუხეს ნიანგებმა.

ნავი კვლავ გემთან დაბრუნდა.

იცით, ეს თაგვისფერი გემი სამხედრო ხომალდი იყო, საშინელი ქვემეხებით აღჭურვილი ჯავშნოსანი. ბებერი, ბრძენთაბრძენი ნიანგი, სწორედ ის, რომელმაც ოდესღაც ზღვამდე მიაღწია, უცებ მიხვდა, რაში იყო საქმე და ამხანაგებს დაუყვირა:

— ჩქარა ჩაყვინთეთ. ეს სამხედრო ხომალდია, მაგასთან ხუმრობა არას გვარგებს! ჩაყვინთეთ!

ნიანგებმა წამში წყალქვეშ დურთეს თავი და ნაპირისკენ გაცურეს, იქ გაისუსნენ, წყალზემოთ მხოლოდ ცხვირის წვერი და თვალები მოუჩანდათ. ამ დროს სამხედრო ხომალდს კვამლის ღრუბელი მოსწყდა, გაისმა საშინელი ჭახანი და ვეებერთელა ჭურვი ჯებირს ეძგერა.

რამდენიმე ძელი ნამსხვრევებად აიჭრა ჰაერში. ხომალდიდან მაშინვე ზედიზედ გამოუშვეს ჭურვები. ყოველ გასროლაზე ძელები წვრილ ნამსხვრევებად იფანტებოდა და ასე გაგრძელდა იქამდე, სანამ ჯებირის კვალიც კი აღარ დარჩა! არა თუ ძელი; ერთი ნაფოტი, ხის ქერქის ნაგლეჯიც არსად ჩანდა.

ყველაფერი მოსპო ჯავშნოსანის ქვემეხებმა. წყალში ჩამალულმა ნიანგებმა, ცხვირის წვერი და თვალებიღა რომ მოუჩანდათ, დაინახეს, როგორ ჩაიარა მძლავრი ქშენით უზარმაზარმა ხომალდმა და თვალს მიეფარა.

მაშინვე ნაპირზე ამობობღდნენ და თქვეს:

— მოდით ახალი ჯებირი ავაშე-

[1] ლაპაჩო და კებრაჩო — ეს ხეები სამხრეთ ამერიკაში იზრდება.

ნოთ, უფრო დიდი და გამძლე, ვიდრე ძველი იყო.

იმ საღამოსვე შეუდგნენ მშენებლობას. მთელი ღამე იმუშავეს და ვეებერთელა ძელებისაგან ჯებირი რომ აღმართეს, დაღლილ-დაქანცულებს მკვდარივით დაეძინათ.

მეორე დილით ისე ღრმად იყვნენ გულისძილში წასული, რომ ვერც კი გაიგეს, როგორ მიუახლოვდათ სამხედრო ხომალდი და როგორ ჩამოუშვა ჯებირთან ნავი.

— ჰეი, ნიანგებო! — იყვირა ოფიცერმა.

— რას გვიბრძანებთ? — გამოიღვიძეს ნიანგებმა.

— დაშალეთ ჯებირი!

— არ დავშლით!

— მაშინ ისევ დაგიშენთ ქვემეხებიდან და ამ ჯებირსაც მიგინგრმოგინგრევთ!

— დაანგრიეთ... თუკი შეძლებთ.

ნიანგები დიდგულად იყვნენ, მტკიცედ სწამდათ, ამ ჯებირს ვერავითარი ქვემეხი ვერ დაგვინგრევსო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ხომალდი ისევ კვამლში გაეხვია და უმალ საშინელი გრუხუნით ჩაიქცა ჯებირის შუაგული. საქმე ის იყო, რომ ამჯერად ჭურვების ნაცვლად ყუმბარები ასკდებოდნენ ჯებირს. ყუმბარა დაეძგერა ძელს, გასკდა და დაამსხვრია, ნაფოტებად აქცია ვეებერთელა მორები. მეორე ყუმბარა პირველის გვერდით გასკდა და ჯებირის კიდევ ერთი ნაწილი აიჭრა ჰაერში. ასე ანგრევდნენ ჯებირს, ვიდრე აღარაფერი დარჩა მისგან, სულ არაფერი. და მაშინ სამხედრო ხომალდმა გვერდით ჩაუსრიალა ნიანგებს, გემბანზე მყოფი ხალხი პირზე ხელმოფარებული ქირქილებდა — ნიანგებს დასცინოდა.

— რაღა გვეშველება, — თქვეს წყლიდან ამომძვრალმა ნიანგებმა, — ახლა ხომ შიმშილით დავიხოცებით, გემი სულ აქ იცურებს და თევზი აღარასოდეს დაბრუნდება.

ყველას გუნება გაუფუჭდა, იმიტომ, რომ პატარა ნიანგები ტიროდნენ, საჭმელს ითხოვდნენ.

მაშინ ბებერმა ნიანგმა თქვა:

— იმედს ნუ გადავიწყვეტთ. წავიდეთ ლოქოსთან. იმას ტორპედო[1] აქვს. ერთხელ ორი სამხედრო ხომალდი შეებრძოლა ერთმანეთს, ლოქო იქვე მახლობლად იყო და აუფეთქებელი ტორპედო გამოაცურა აქეთ, ის ტორპედო უნდა ვთხოვოთ ლოქოს. მართალია, ჩვენზე, ნიანგებზე, ძალიან განაწყენებულია, მაგრამ კეთილი გული აქვს და ნამდვილად არ მოინდომებს ჩვენს დაღუპვას.

საქმე ის იყო, რომ ოდესღაც, მრავალი, მრავალი წლის წინათ, ნიანგებმა იმ ლოქოს ძმისწული შეუჭამეს და მას მერე მოხუცმა ლოქომ ნიანგებთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა, მაგრამ ახლა, ყველაფრის მიუხედავად, ნიანგები მაინც წავიდნენ ლოქოსთან, რომელიც მდინარე პარანის ნაპირას, უზარმაზარ წყალქვეშა გამოქვაბულში ბუდობდა და თავისი ტორპედოს გვერდით ეძინა. ლოქოები ზოგჯერ სიგრძით ორ მეტრს აღწევენ, სწორედ ასეთი იყო ტორპედოს პატრონიც.

— ეი, ლოქოვ! — ერთხმად იყვირეს ნიანგებმა, გამოქვაბულთან რომ მოიყარეს თავი. შიგ შესვლა კი იმ ძმისწულის ამბის გამო, ვერავინ გაბედა.

— ვინ მეძახის? — იკითხა ლოქომ.

— ჩვენ ვართ, ნიანგები!

— მე არ მაქვს და არც მსურს მქონდეს თქვენთან რაიმე საერთო, — უპასუხა გულმოსულმა ლოქომ.

მაშინ ბებერმა ნიანგმა თავი შეჰყო გამოქვაბულში და დაიძახა:

— მე ვარ, ლოქოვ, შენი მეგობარი ნიანგი, შენთან ერთად რომ ვიმოგზაურე ზღვისკენ.

ნაცნობი ხმის გაგონებაზე ლოქო გამოქვაბულიდან გამოცურდა.

— მაპატიე, ვერ გიცანი, — ალერსიანად უთხრა მან თავის ძველ მეგობარს. — რა გაგჭირვებია?

[1] ტორპედო — წყალქვეშა ნაღმი.

— ტორპედოს სათხოვნელად მოვედით. ჩვენს მდინარეში სამხედრო ხომალდი დაცურავს და თევზს აფრთხობს. სამხედრო ხომალდი, გესმის, ჯავშნოსანი! ჯებირი აღვმართეთ, მიგვინგრ-მოგვინგრია. მეორე ჯებირი აღვმართეთ, იმასაც ბდღვირი აადინა. თევზი გადაიხვეწა და მალე შიმშილით სული გაგვძვრება. მოგვეცი ტორპედო, რომ ის ხომალდი ავაფეთქოთ.

ამის გაგონებაზე ლოქო ცოტა შეფიქრიანდა, მაგრამ მერე ნიანგებს მიუბრუნდა:

— კეთილი, მოგცემთ ტორპედოს, მიუხედავად იმისა, რომ კარგად მახსოვს, რა უყავით ჩემს ძმისწულს. აბა, როძელს შეუძლია ტორპედოს აფეთქება?

ნიანგები დუმდნენ, არც ერთმა არ იცოდა, როგორ უნდა აეფეთქებინათ ტორპედო.

— კარგი, — თქვა ბოლოს ლოქომ, — მე თვითონ ავაფეთქებ.

ნიანგები მაშინვე სამოგზაურო სამზადისს შეუდგნენ, ნაპირზე აძვრნენ, ერთიმეორეზე გადაბმა დაიწყეს: მეწინავე ნიანგმა კუდი ყელზე გამოსდო მეორეს, მეორემ — მესამეს და ამგვარად, თითქმის მთელი მილის სიგრძეზე გაიჭიმნენ. ვეებერთელა ლოქომ ტორპედო წყლის დინებას მიანდო, თვითონ კი ჩაყვინთა, ქვეშ შეუძვრა ტორპედოს, რათა ზურგით მისთვის ცურვა შეემსუბუქებინა. როცა გაილია ლიანები, ნიანგებს გარს რომ ეხვეოდა, ლოქო ბოლოს მოქცეულ ნიანგს ჩააფრინდა კუდში. ნიანგები დაიძრნენ, ტორპედო გაქაჩეს. ასე ირბინეს მთელი ღამე. ნიანგები ნაპირ-ნაპირ მირბოდნენ, ლოქო ტორპედოს გეზს აძლევდა, ნიანგები კი ლოქოს მიათრევდნენ ზევით, ქვევით, ქვების გადავლით, მირბოდნენ და მიაქანებდნენ ტორპედოს, რომელიც სწრაფად ჰკვეთდა, გემოვნებით აზვირთებდა წყალს.

დილისათვის, როგორც იქნა, მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც თავისი ბოლო ჯებირი ააგეს და მაშინვე შეუდგნენ ახალი, კიდევ უფრო მყარი ჯებირის შენებას. ლოქოს რჩევით ძელები, რაც შეიძლება ახლო-ახლო ჩაასვეს და მშვენიერი ჯებირი გამოვიდა.

ერთი საათიც არ იქნებოდა გასული მას მერე, რაც უკანასკნელი ძელი ჩაასვეს, რომ სამხედრო ხომალდიც გამოჩნდა. ჯებირისკენ კვლავ გამოცურდა ნავი, შიგ ოფიცერი და რამდენიმე მეზღვაური იჯდა. ნიანგები ძელებზე აცოცდნენ და ჯებირიდან თავები გამოჰყვეს.

— ჰეი, ნიანგებო! — დაიძახა ოფიცერმა.

— რას გვიბრძანებთ? — ჰკითხეს ნიანგებმა.

— ისევ ააშენეთ ჯებირი?!

— დიახ, ისევ!

— ახლავე დაშალეთ!

— არაფრის გულისათვის!

— მაშ არ დაშლით, არა?!

— არა!

— კეთილი, მაშინ მისმინეთ, — თქვა ოფიცერმა, — ახლა ჩვენ გავანადგურებთ თქვენს ჯებირს და იმისათვის, რომ ახლის აშენება აღარ იფიქროთ, ჩვენი ქვემეხები თქვენც გაგანადგურებენ. ცოცხალს არ გაგიშვებთ არც დიდსა და არც პატარას, არც სქელსა და არც თხელ ნიანგს კი არა, ისეთ ბებერ, გადამღრძვალ ნიანგსაც კი არ დავტოვებთ, როგორიც აი ის არის, პირში რომ ორად ორი კბილიღა აქვს შერჩენილი.

ბებერი ბრძენთა ბრძენი ნიანგი მიხვდა, რომ ოფიცერი მასზე ლაპარაკობდა, მას დასცინოდა და უთხრა:

— სწორი ბრძანდებით, მართლაც ორად ორი კბილიღა შემრჩა, დანარჩენები ჩამტვრეული მაქვს, მაგრამ თუ იცით, ვის შევჭამ ხვალ ამ ორი კბილით?

— მაინც ვის უპირებ შეჭმას? აბა, გვითხარი? — ჰკითხეს მეზღვაურებმა.

— ვისა და მაგ ოფიცერუკას!

დაიყვირა ბებერმა ნიანგმა და ძელიდან წყალში გადაეშვა.

ამასობაში ლოქომ ტორპედო ჯებირთან მიაცურა და ოთხ ნიანგს უბრძანა, ფრთხილად გეჭიროთ წყალქვეშ, ვიდრე ნიშანს არ მოგცემთო. როგორც ლოქომ უბრძანათ, ნიანგები ისე მოიქცნენ. დანარჩენი ნიანგები ნაპირის მახლობლად ჩაიმალნენ წყალში, წყალზემოთ მხოლოდ თვალები და ცხვირის წვერი მოუჩანდათ. ლოქომ კი თავის ტორპედოს გვერდით ჩაიყურყუმალავა.

და აი სამხედრო ხომალდი კვამლში გაეხვია, პირველი ყუმბარა გამოუშვა ჯებირისკენ. ყუმბარა ჯებირის ცენტრში გასკდა და ექვსიოდე ძელი ნაფოტებად გაჰფანტა ჰაერში.

ლოქო გაფაციცებული ელოდა ტორპედოს გასაშვებად ხელსაყრელ წამს და როგორც კი ჯებირში ნაპრალი გაჩნდა, იმ ნიანგებს გასძახა, რომლებსაც წყალქვეშ ეჭირათ ტორპედო.

— გაუშვით, სწრაფად გაუშვით!

ნიანგები მოშორდნენ ტორპედოს და იგი სწრაფად ამოტივტივდა.

ლოქომ თვალის დახამხამებაში დააყენა იგი ჯებირში გაჩენილ ნაპრალში, ცალი თვალით დაუმიზნა ხომალდს, მექანიზმი ჩართო და ტორპედოც დაიძრა.

ტყუილად არ ჩქარობდა ბებერი ლოქო, გაუშვა თუ არა ტორპედო, ჯებირს ახალი ყუმბარა მოასკდა და კიდევ ერთი ნაწილი მიამსხვრ-მოამსხვრია.

მაგრამ ტორპედო უკვე ხომალდისკენ მიჰქროდა. გემბანზე მყოფებმა დაინახეს იგი, უფრო სწორად ის კვალი დაინახეს, რომელსაც იგი წყალზე ტოვებდა. შიშით დაფეთებულები აყვირდნენ, ცდილობდნენ ჯავშნოსანი ისე შეეტრიალებინათ, რომ ტორპედო არ მოხვედროდა.

მაგრამ უკვე გვიან იყო: ტორპედო მიიჭრა, შიგ შუაგულში მიაწყდა უზარმაზარ ხომალდს და აფეთქდა.

შეუძლებელია იმ საშინელი გრუხუნის აღწერა, ტორპედოს აფეთქებისას რომ გაისმა. იგი აფეთქდა და ხომალდი თხუთმეტ ათას ნამსხვრევად აქცია, ასეულ კილომეტრზე გაიფანტა მისი მილები, მანქანები, ქვემეხები, ნავები.

ამის დანახვაზე ნიანგებმა გამარჯვების ყიჟინა დასცეს, გადარეულები მოცვივდნენ ჯებირთან და დაინახეს, როგორ მოაქანებდა მდინარე მკვდრებს, დაჭრილებს და რამდენიმე ცოცხლად გადარჩენილსაც.

ნიანგები ჯებირის მთელ ძელებთან შეგროვდნენ, უყურებდნენ როგორ მოჰქონდა ადამიანები მდინარეს და ქირქილით იფარებდნენ პირზე თათს, დასცინოდნენ მათ. არც კი ინებეს ადამიანების შეჭმა, თუმცა სამხედრო ხომალდის მეზღვაურები ნამდვილად იმსახურებდნენ ასეთ ხვედრს, მაგრამ, როცა მათ წინ ოქროსფერ სამხრეებიანი კაცი მოცურდა, ბებერმა ნიანგმა უცებ ისკუპა და თვალის დახამხამებაში გადასანსლა იგი.

— ვინ იყო ეგ ძია? — იკითხა პატარა, გულუბრყვილო ნიანგმა.

— ვინ და ოფიცერი, — უპასუხა ლოქომ. — ჩემი მეგობარი დაემუქრა. შეგჭამო და შეჭამა კიდეც.

ნიანგებმა დაშალეს ჯებირის გადარჩენილი ნაწილი. ახლა ვიღას სჭირდებოდა იგი, ვიღა გაბედავდა იქ ცურვას? ლოქოს კი ოფიცრის ქამარი და სამხრეები მოუვიდა თვალში. ნიანგებმა საჩუქრად მიართვეს ერთიც და მეორეც. მაგრამ ამისათვის დიდხანს დასჭირდათ ბებერი ნიანგის ვეება ხახაში ქექვა, რადგან ეს ნივთები კბილებში ჩარჩენოდა. ლოქომ ქამარი ფარფლებქვეშ ამოიტარა და მუცელზე შეიკრა, ხოლო ოქროსფერი სირმა, რომელიც უწინ ოფიცრის ხმალს ამშვენებდა, ულვაშზე დაიხვია. ლოქოს ძალიან ლამაზი კანი აქვს, შავხალებიანი, როგორც გველს და ახლა ამ მოსართავებით მოკაზმული ამაყად დაცურავდა აღტაცებისაგან ხახადაღებული ნიანგების წინ.

ნიანგებმა თავის გამოქვაბულამდე მიაცილეს ლოქო, მთელი გზა მადლობას უხდიდნენ. შემდეგ შინ დაბრუნდნენ. მდინარეში მალე ისევ გაჩნდა თევზი და ნიანგები ძალიან ბედნიერად ცხოვრობდნენ. ახლაც ბედნიერად ცხოვრობენ, რადგან ბოლოს და ბოლოს შეეჩვივნენ დიდსა და პატარა გემებს, მათი მდინარით ფორთოხალი რომ გადააქვთ, ოღონდ სამხედრო ხომალდის გაგონებაც არ უნდათ.

თარგმნა ცოტნე ჩიქოვანმა

ზაზაფხულზე პირველად ჰყვავიან იისფერი ან ლურჯი ყვავილები, შუა ზაზაფხულზე ან მის მიწურულში — ყვითელი და ნარინჯისფერი, ზაფხულის დასაწყისში — თეთრი და თეთრ-მოყვითალო.

ზოგი მეცნიერის აზრით, სხეულის ტემპერატურის ერთი-ორი გრადუსით დაწევა 20-25 წლით გაახანგრძლივებს ადამიანის ხიცოცხლეს.

ნესტრით ერთი ჩხვლეტისას ფუტკარი 0,02-0,03 მილიგრამ შხამს გამოჰყოფს. სასიკვდილო დოზა 0,2 გრამია.

თუ წყლის ტემპერატურა + 25°-ია, ადამიანს შეუძლია შიგ დღე-ღამეზე მეტი გაძლოს, თუ + 3°-ია, — დაახლოებით 3 საათი, თუ + 5° — დაახლოებით 1 საათი, თუ 2,5° — ნახევარი საათი, თუ 0°C — მხოლოდ 15 წუთი.

გველის შხამი ამ ქვეწარმავალს საჭმლის მონელებაში ეხმარება, ამიტომ შხამგამოცლილი გველი დიდხანს ვერ ცოცხლობს.

თუ თვითმფრინავს, რომელიც 2400 მეტრის სიმაღლეზე საათში 700 კმ-ის სიჩქარით მიფრინავს, შეეჯახა 1800 გრ წონის ფრინველი, დარტყმის ძალა 3-ჯერ უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე 30 მმ-იანი ჭურვისა.

კურდღლის რძე (ცხიმიანობა — 23-24%) 6-ჯერ უფრო ცხიმიანია, ვიდრე ძროხისა.

„ესთეტი“ ფრინველები

ტენიან ტროპიკებში მცხოვრებ ფრინველთა უამრავ ჯგუფს შორის თავისებურებით განსაკუთრებით გამოირჩევიან მექოხე ფრინველები, რომლებიც უმთავრესად, ავსტრალიაში და მის ახლომახლო კუნძულებზე მრავლდებიან.

მექოხეებს გამორჩეულად მოსწონთ ცისფრად შეღებილი საგნები. ეს „ესთეტი“ ფრინველები ზოგჯერ „მხატვრების“ როლშიც გამოდიან. ისინი ძალზე პიგმენტირებულ ან შეღებილ ნაყოფს, მაგალითად, სხვადასხვა კენკრას, ნისკარტსა და ჩიჩახვში გადაამუშავებენ და მათგან „საღებავ პასტებს“ ამზადებენ. შემდეგ მერქნიან მცენარეთა ლაფნის ძაფებისაგან ფუნჯისმაგვარ იარაღს აკეთებენ და „ფუნჯებს“ კენკრის წვენისაგან დამზადებულ საღებავში ამოავლებენ.

მაგრამ რისთვის სჭირდებათ ამ ფრინველებს მთელი ეს „ესთეტიკა“? უპირველეს ყოვლისა, შთამომავლობის გასაგრძელებლად. საქმე ის გახლავთ, რომ მდიდრული სამოსი — ნაირფრად მოხატული ფრთა და ბუმბული — ამ სამოთხის ჩიტების მხოლოდ თითო-ოროლა სახეობის ღირსებაა. მათი მამრების უმეტესობა მოყვითალო-რუხი ფერისაა, ამიტომ მდედრების მისაზიდად ისინი განსაკუთრებით ლამაზ ქოხებს აგებენ. ბინის მოსართავად იყენებენ ყვავილებს, ნიჟარებს, ფოთლებს და, ათასგვარ, ბრჭყვიალა საგნებს. ყველაფერ ამას კი იმისთვის აკეთებენ, რომ მდედრს თავი მოაწონონ.

ქოხი არ არის გამრავლებისა და კვერცხის დადებისთვის გამიზნული ადგილი. აქ მხოლოდ შეხვედრა იმართება, ამიტომ მას დიდი გულისყურითა და გემოვნებით აგებენ. ვხვდებით გვირაბისმაგვარ, წაგრძელებული ფორმის ქოხებსაც. შესასვლელით ისინი ყოველთვის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ არიან მიქცეულნი. ასეთი მდებარეობა უზრუნველყოფს მზით ბინის თანაბარ განათებას. არსებობს ესთეტ ფრინველთა მიერ „ნაკეთები“ ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ვიგვამების ტიპის ქოხებიც. ამგვარი ქოხი მოზარდი ხის ზროს ირგვლივ ეწყობა და სიმაღლეში ნახევარ მეტრს აღწევს. მას სახურავიც აქვს და მინიატურულ კოტეჯს მოგვაგონებს.

მსგავსი „სახლის“ აგება, რა თქმა უნდა, დიდ შრომას მოითხოვს. „მშენებლობა“ ზოგჯერ ოთხ-ხუთ თვესაც გრძელდება. ზოგიერთ ქოხზე ლამაზი ტროპიკული ყვავილი — ორქიდეაც ხარობს. სამკაულად გამოყენებული ყვავილები ხშირად პირდაპირ კედელშია ჩარჭობილი, ქოხის შესასვლელთან კი, როგორც წესი, მასპინძლისთვის განსაკუთრებით საინტერესო საგნებით დამშვენებული „საზეიმო მოედანი“ ეწყობა... იგივე ყვავილები ან ფერადი ქვები აქაც შეიძლება დაგვხვდეს.

ორნითოლოგი დილონ რაიპლი წიგნში „ოქროს ფრინველის ბილიკი“ მოგვითხრობს, თუ ფრინველმასპინძელმა როგორ განალაგა „მოედანზე“ სხვადასხვა ფერის ყვავილები. ვარდისფერ ყვავილთა გროვაზე მან წითელ ორქიდეას დიდი ამბით მიუჩინა გამორჩეული ადგილი. „ესთეტიკის თვალსაზრისით, — წერს რაიპლი, — ეს იყო შესაძლებელ ვარიანტთაგან საუკეთესო“. ამგვარად, ფრინველთა მხრიდან მსგავსი მანიპულაციები არა მარტო მათ მიერ იარაღის გამოყენების პრიმიტიული ცდაა, არამედ ცხოვრებაში ესთეტიკურ მიდრეკილებათა არსებობის ერთგვარი დამადასტურებელიც.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს სამშენებლო საქმიანობაც მთავრდება და მდედრები ტყეში სეირნობას იწყებენ. ისინი თითქოს „აფასებენ“ ქოხებს და, თუ რომელიმე მოეწონებათ, აუცილებლად შიგ შედიან. ამგვარად ჯილდოვდება მამრი გაწეული შრომისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კვერცხის დასადებად და დასაბუდებლად მდედრი ქოხში რჩება. იგი თავის ბუდეს ხეზე იწყობს, იქ ჩეკავს ბარტყებსაც, რომელთაც მამრის დაუხმარებლად ზრდის. დაფრთიანების შემდეგ კი ისინიც მამრის ქოხში მიჰყავს, საიდაც შედგება მამასთან „გაცნობის“ ერთგვარი, ძალზე საინტერესო რიტუალი.

მთელი იმ ხნის მანძილზე კი, როცა მდედრი კრუხობს და შთამომავლობას ზრდის, მამრი განაგრძობს საცხოვრებლის მოვლა-გალამაზებას. იგი ყოველდღიურად რთავს მოედანს ყვავილებითა და ფოთლებით. მაგრამ მდედრისთვის თავის მოწონების სეზონი ხომ უკვე დამთავრდა? მაშ, რითი ავხსნათ მამრის ასეთი თავგამოდება? რა გარანტია აქვს მას, რომ მდედრი თავისი ბარტყებიანად აუცილებლად დაუბრუნდება მის კეთილმოწყობილ „სასახლეს?“ დიახ, ზოგჯერ მათთანაც ასე ხდება — მდედრი ვერ აფასებს მამრის უსაზღვრო შრომასა და ერთგულებას და ქოხისაკენ საერთოდ აღარც იყურება.

არნ. გეგეჭკორი

ავთანდილ საკაძე

დიდ მოურავს — გიორგი სააკაძეს ხუთი ვაჟი ჰყავდა, რომლებიც სახელოვან მამას ჰგავდნენ გმირობით, სამშობლოსადმი სიყვარულით, შემკული ახოვანებით, სილამაზითა და სიმამაცით.

საფურცლე-მუხრანის აჯანყებისა და მარაბდის ომის გმირი ავთანდილ სააკაძე ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა ქართველი ერის ისტორიაში.

პირველად იგი იხსენიება 1607 წელს სააკაძეთა მამულის ნასყიდობის წიგნსა და სიგელში. აქ ნათქვამია: „...ესე უკუნისადმი ჟამთა გასათავებელი წიგნი და სიგელი მოგეციოთ ჩვენ, ჯავახიშვილთა ფარსადან და შერმაზან, თქვენ, სააკაძეთა გიორგის შიოშის შვილსა და თქვენს ძმასა ქაიხოსროს და შენსა შვილსა ავთანდილს, მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული მოუსარჩელელი და მოუდევარი...“

1612 წელს პოლიტიკური მტრებისაგან დევნილი გიორგი სააკაძე იძულებული შეიქნა თავისი ოჯახითა და თანამგრძნობთა დასით გასცლოდა სამშობლოს და თავშესაფარი ეძია სპარსეთში, სადაც სააკაძენი თითქმის რვა წელიწადს დარჩნენ. ავთანდილმა სხვებთან ერთად გაიზიარა ემიგრაციის მძიმე დღეები.

სპარსი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართლის მრისხანე აჯანყების დროს მუხრანის ველზე და საფურცლეში ავთანდილ სააკაძე შეთქმულთა დასში იმყოფებოდა. დასში შედიოდნენ თვითონ გიორგი სააკაძე, ზურაბ არაგვის ერისთავი, ელია დიასამიძე, პაატა ხერხეულიძე, პაპუნა ვაშაყმაშვილი და ავთანდილი.

როდესაც დიდმა მოურავმა შუბით განგმირა საქართველოს დაუძინებელი მტერი, შაჰ-აბასის ნების ბრმა შემსრულებელი, სპარსთა 30-ათასიანი ჯარის სარდალი ყარჩიხა-ხანი და ხმლით აჩეხა მისი მოადგილე უსუფ-ხანი, მოუსწრო ზურაბ ერისთავის ლაშქარმა და სპარსთა მხედრობა სასტიკად დაამარცხა. მეორე დღესვე ქართლისა და კახეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა მოურავის მეთაურობითვე მარტყოფნორიოს ველზე გაანადგურა სპარსთა დიდი ჯარის მეორე დაჯგუფება და მტერი საქართველოს საზღვრებიდან განდევნა. ავთანდილ სააკაძემ ამ ბრძოლებში გმირობით ისახელა თავი.

1625 წლის ივლისში საქართველოს თითქმის მთელი სპარსეთი შემოესია. ბრძოლები ქვემო ქართლში, მარაბდის სანახებში გაიშალა. ამ სასტიკ ომში, სადაც 10 ათასამდე ქართველი მხედარი და 14 ათასამდე ყიზილბაში მებრძოლი გაწყდა, ავთანდილ სააკაძემ დიდი გმირობა გამოიჩინა. თავის ბიძა დათუნა არაგვის ერისთავთან ერთად მან არაგველთა რაზმით სძლია სპარსნი, ბრძოლით გაარღვია მტრის რკალი და მეორე მხარეს გავიდა. შეწუხდნენ ქართველნი. ეგონათ, რომ ავთანდილი და დათუნა რაზმითურთ ან დაიღუპნენ, ან ტყვედ ჩავარდნენ.

მეფე-პოეტი არჩილ ბაგრატიონი თავისი პოემის გმირს თეიმურაზ მეფეს ათქმევინებს:

„ზურაბ ადრე დაგვიკლდეს,
თურმე სისხლმა შეაწუხეს,
იმის ძმამა დათუნამ
და ავთანდილ დაიტეხეს,
რაზმი განვლეს, უკან სდივეს
მუნამდისი, სად დგას მუხეს,
ფრეწდეს მათსა საჭურველსა,
ყოფილიყვნენ ვითომ უხეს“.

მეორე დღეს ავთანდილმა და დათუნამ ისევ გამოარღვიეს ბრძოლის ველი და სამშვიდობოს გამოვიდნენ. პოეტი იოსებ თბილელი გიორგი სააკაძეს ათქმევინებს:

„მეორე დღესა მოვიდეს,
გაევლოთ იქით რაზმია,
ზურაბს ძმა შემოეყარა,
მე — შვილი მონაკაზმია“.

მარაბდის გმირული ბრძოლის შემდეგ ავთანდილ სააკაძე კვლავ თავდადებულად იბრძვის პარტიზანულ რაზმებში სპარსთა ურდოების წინააღმდეგ ქსნის ხეობაში, წიწამურში, ღართისკართან, ბელტის ციხესთან, სამცხე-საათაბაგოში და სხვ.

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ძნელბედობის გამო, 1626 წლის შემოდგომაზე გიორგი სააკაძე ოჯახით და მომხრეთა დასითურთ ოსმალეთში გადავიდა და არზრუმში დაიდო ბინა (არზრუმი ოსმალეთის სულთანმა დიდ მოურავს უწყალობა).

ოსმალთა სულთანმა მოურავს ანატოლიის ბეგლარბეგობა უბოძა. ქართველები ქალაქ კონიაში დასახლდნენ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის საზღვარზე არაბთა ტომს — სოხასტებს ჰქონდათ ციხე-სიმაგრე, რომელიც შეუვალად ითვლებოდა. სოხასტებს თავი დამოუკიდებლად ეჭირათ, არ სურდათ ოსმალთა ხელში ყოფილიყვნენ. ისტორიული წყაროებით, ციხე-სიმაგრე ოსმალთა ვერც ერთმა სარდალმა ვერ გატეხა და ვერ დაიმორჩილა. ახლა სოხასტები მოურავს უნდა დამორჩილებოდნენ, როგორც ბეგლარბეგს, მაგრამ არც მას შეეპუენ.

გიორგი სააკაძე დარწმუნდა, რომ პირდაპირი იერიშით შეუძლებელი იყო სოხასტების ციხის აღება. სამხედრო თათბირზე, რომელსაც ესწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებოდნენ თვითონ გიორგი სააკაძე, ქაიხოსრო სააკაძე, ქაიხოსრო მუხრანბატონი, იასე ქსნის ერისთავი, გიორგი და გერმანოზ ბარათაშვილები და სხვები, ციხე-სიმაგრის აღებაზე სხვადასხვა აზრი გამოითქვა. მაშინ მოურავმა, რომელსაც არ მოეწონა გამოთქმული მოსაზრებანი, თურმე ავთანდილისკენ გაიხედა და თქვა: აბა, რას გვირჩევს ავთანდილიო.

ავთანდილმა ზეპირად მოახსენა: „ავთანდილის თათბირი" „ვეფხისტყაოსნიდან":

„სჯობს, დადეგით დამალულნი
თქვენ ადგილსა იდუმალსა,
ისი კაცნი არ იჭრევენ
მგზავრსა, ქალაქს შემავალსა,
სავაჭროთა შევეკაზმვი,
ვიქმ საქმესა მე მუხთალსა,
ერთსა ჯორსა გადავჰკიდებ
მუზარადსა, ჯაჭვსა, ხრმალსა.

მე მარტო შევალ ვაჭრულად
და კარგა შევეტყუები,
მალვით ჩავიცვამ აბჯარსა,
გავჩნდები, გავეცრუები,
ღმერთმან ქმნას, უხვად ვადინო
შიგნით სისხლისა რუები!"

თათბირმა ერთხმად მოიწონა ავთანდილის თათბირი და გამორჩევა და საჭირო სამზადისსაც შეუდგნენ.

მალე სულთნის შიკრიკიც მოვიდა და მოურავს საიდუმლო ბრძანება გადასცა. ქართველებმა ვაჭრული ტანსაცმელი გადაიცვეს, ჯორაქლემები საქონლით დატვირთეს და სოხასტების ციხე-ქალაქს მიადგნენ. ქალაქში შვიდი ათასი სახლი იყო და ხალხიც მდიდრულად ცხოვრობდა. ციხის მცველებს ეჭვიც არ შეეპარვიათ რაიმეში და ციხე-ქალაქის კარები გახსნეს. ქართველები თითქმის მთელი თვის განმავლობაში ვაჭრობდნენ, საქონლის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებდნენ და თან ციხე-ქალაქის მიდამოებს ზვერავდნენ. ერთ დღესაც „ვაჭართა" გუნდს ნიშანი მისცეს. მათ მცველნი ამოხოცეს და ქალაქის კარი გააღეს. ციხე-სიმაგრე აიღეს და მოურავმა შიგ თავისი რაზმები ჩააყენა. სოხასტები ოსმალთა მბრძანებლობას დაუმორჩილა. ამ გამარჯვებამ ოსმალეთსა და მის დედაქალაქში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მოურავის საქებრად შაირებიც შეიქმნა.

პოეტი იოსებ თბილელი გიორგი სააკაძეს ათქმევინებს:

„ვთქვი, ჭკუით საქმე მოგვარდეს,
სარდლობა ამას ჰქვიანო,
დავდგეთ აქ, ყური მივუგდოთ,
რაც რომა იმათ თქვიანო...
ბოლოს დავდექით, დავიწყეთ
ჩვენ მათში ვაჭრობანია,
დაწყნარდეს, იარებოდეს
მათში სულ ჩვენი ყმანია,
მოხდომის აზრი გარდაგდეს,
არ დავიყარნეთ ხმანია...
შეუხედით დანდობილთა,
ოთხგნით გზანი შეუკარით,
გვარდუედით სიმაგრესა
გალავნისა ციხის კარით".

1629 წლის 3 ოქტომბერს დიდი მოურავისადმი შურით გაცოფებულმა ოსმალთა ჯარის სარდალმა, მოსისხარმა გათურქებულმა ბოსნიელმა (სოკოლოვიჩმა) ხუსრევ-ფაშამ ღალატით დაახოცვინა მოურავი, მისი შვილი ავთანდილი და მათთან მყოფი ორმოცი-ორმოცდაათი ქართველი.

ასე დასრულდა დიდი მამულიშვილისა და გმირი რაინდის ავთანდილ სააკაძის სიცოცხლე.

თუ დავუშვებთ, რომ ავთანდილ სააკაძე 1607 წელს დაიბადა (იგი პირველად სწორედ იმ წელს იხსენიება), გამოდის, რომ მას 22 წელი უცოცხლია.

ვახტანგ სიდამონიძე

შეიძლება გაგიგონიათ კიდეც, რომ არსებობს უცნაური თევზი, სახელად „ზღვის სპილო" (მას ეს სახელი წინ წამოწეული, ხორთუმის მსგავსი დინგის გამო შეარქვეს). სამეცნიერო ლიტერატურაში იგი მორმირუსის სახელითაა ცნობილი.

ამ თევზის თავის ტვინი ადამიანის თავის ტვინის ზომისაა. სწორედ აქაა მორმირუსის „სადისპეტჩერო ცენტრი", რომელიც არეგულირებს სხეულის წონასწორობასა და მდგომარეობას სივრცეში. „ზღვის სპილო" ერთნაირი სიჩქარით დაცურავს ყველა მიმართულებით და ყოველნაირად, სხვათა შორის — კუდით წინ და მუცლით ზევითაც. ისიც საინტერესოა, რომ მორმირუსი მშვენივრად ორიენტირებს მღვრიე, თითქმის სრულიად გაუმჭვირვალე წყალში — ამას იგი თავის გარშემო შექმნილი ელექტრომაგნიტური ველის საშუალებით აკეთებს. მორმირუსს უფრო ფართოდ ცნობილი კოლეგაც ჰყავს — ელექტროლოქო, რომელიც აფრიკის მდინარეებში ბინადრობს.

ელექტრო-გველთევზა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ერთ-ერთი ზოოპარკის დამთვალიერებელი შეიძლება ასეთ სანახაობას წააწყდეს: აკვარიუმში, ქვით დაფარულ ფსკერზე, უმოძრაოდ წევს გველთევზა. წყალში ჩაშვებულია ელექტროდები, რომლებიც აკვარიუმის გარეთ ელექტრონათურებთან არის მიერთებული. ამოძრავდება თუ არა გველთევზა, ნათურები ინთება. ეს იმას ნიშნავს, რომ უცნაური თევზი მოძრაობისას თავის გარშემო ელექტრულ ველს ქმნის.

ამ ელექტრული ველის წყარო თევზის კუდშია მოთავსებული. იგივე ორგანო ლოკატორის მოვალეობასაც ასრულებს. მსხვერპლთან მიახლოებისას ელექტრო-გველთევზა კუდს მისკენ მიაბრუნებს, ძლიერი ელექტროიმპულსით ადამბლავებს და შემდეგ მშვიდად შეექცევა მას.

ლილი გელაშვილი,
იქთიოლოგი

ეკითხეთ საგზაო ანბანი

განყოფილებას უძღვება ხალ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახავტოინსპექციის სამმართველოს აგიტაცია-პროპაგანდის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი თეიმურაზ ინასარიძე.

ახლა ავტომანქანებზე, მათ მოწყობილობასა და სახესხვაობებზეც ვისაუბროთ. რადგანაც უმეტესად სწორედ მანქანების სასიარულოდ გაჰყავთ ძვირადღირებული გზები და ქუჩები, მათთვის იდგმება საგზაო ნიშნების უმრავლესობა. მაშ ასე,

ავტომობილები

არ გაგიკვირდეთ, ვიდრე უშუალოდ სხვადასხვა სახის ავტომანქანებს გაგაცნობდეთ, ველოსიპედზე უნდა მოგიყვეთ. არ იფიქროთ, თითქოს მათ ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეთ. ველოსიპედიც მანქანაა, იმ განსხვავებით, რომ ველოსიპედი ადამიანის ძალას მიჰყავს, ავტომობილი კი ძრავას. ესეც არ იყოს, ველოსიპედი ხომ ერთდროულად მძღოლიცაა და... ფეხით მოსიარულეც. სწორედ ამიტომაა, რომ ძალიან ხშირად საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის, ე. ი ავტოავარიის, მონაწილეები ველოსიპედისტები არიან. ეს კი უმეტესად ასე იწყება:

აჩუქეს ბავშვს ველოსიპედი. ეზოში ტარებაც ისწავლა თითქოს და უკვე ქუჩისაკენ მიუწევს გული. ამხანაგებთან უნდა დაიტრაბახოს — რა „ოსტატია" და თან ახალი ველოსიპედი აჩვენოს ხალხს, მაგრამ საკმარისია პატარა ორმო, ქვა ან სხვა რაიმე საგანი მოუხვდეს ბორბლებში და უკვე შეიძლება საჭე გაექცეს, ველოსიპედი გადაუბრუნდეს. ამ დროს ქუჩაში განუწყვეტლივ მოდიან ავტომანქანები, მათი გაჩერება კი უეცრად, როგორც უკვე იცით, არ შეიძლება, და ეს უბედურ შემთხვევას იწვევს. სამწუხაროდ, უარესიც ხდება, თქვენი თანატოლი ჩათვლის, რომ უკვე ბრწყინვალე ველოსიპედისტია, გაუშვებს ხელს საჭეს და მიაქროლებს, ზოგჯერ კი უმცროს ძმას ან ნაცნობ გოგონას დაისვამს წინ. ასეთი მგზავრი კი ყოველ წუთს შეიძლება უნებურად შეეხოს საჭეს ან გადაიხაროს, და ველოსიპედი წონასწორობას დაკარგავს. თუ ამ დროს უკნიდან ავტომანქანა წამოეწია, თუმცა, რომც არ წამოეწიოს, ხომ დაეცემა და დაშავდება, შეიძლება სერიოზული ტრავმაც მიიღოს.

ამიტომაა, რომ მოძრაობის წესებში გათვალისწინებულია სპეციალური პუნქტები ველოსიპედისტებისათვის.

გახსოვდეთ, რომ არ შეიძლება ქუჩაში ველოსიპედით გახვიდეთ, თუ ჯერ თოთხმეტი წელი არ შეგსრულებიათ, ხოლო თუ მოტორიანი ველოსიპედი გაჩუქეს, კიდევ ორი წელი მოგიწევთ მოცდა — თექვსმეტი წლის შესრულებამდე.

ვიდრე სახლიდან გამოხვიდოდეთ, უნდა მეამოწმოთ საჭე, საბურავები (კარგადაა თუ არა დაბერილი), წესრიგშია თუ არა ხელისა და ფეხის მუხრუჭები — შეიძლება თუ არა მოულოდნელი სიტუაციის წამოჭრისას ველოსიპედის სწრაფად გაჩერება, მუშაობს თუ არა ზარი.

ქუჩაში ველოსიპედისტებმა უნდა იმოძრაონ ერთი მეორის უკან, ტროტუარიდან არა უმეტეს ერთი მეტრის დაშორებით. ქუჩის დანარჩენი ნაწილი ავტომანქანებს ეკუთვნის.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება ველოსიპედით ტროტუარზე და გაზონებზე სეირნობა, ხოლო ველოსიპედის ტარება საჭეზე ხელის მოუკიდებლად და, წინ მგზავრის დასმა რომ არ შეიძლება, ამაზე მგონი ლაპარაკიც ზედმეტია. და ბოლოს:

მხოლოდ ყველაზე უმკაცრეს ბიჭი თუ ჩამოეკიდება სატვირთო ავტომანქანას და ველოსიპედით გაჰყვება. საკმარისია ავტომანქანამ მკვეთრად დაამუხრუჭოს ან მოუხვიოს, რომ ყველაზე მარჯვე ველოსიპედისტიც კი მოწყდება მას და უკან მომავალი ტრანსპორტის ბორბლებქვეშ მოხვდება. ეს კი, თავადაც მიხვდებით, რით დამთავრდება.

აი, ახლა კი შეიძლება უშუალოდ ავტომანქანებზე გადავიდეთ. რა არის და როგორ არის მოწყობილი ავტომანქანა? ამ თემაზე ალბათ ბევრი ლაპარაკი არ დამჭირდება. რადგან დღეს ყველა ბავშვი შესანიშნავად ერკვევა ავტომანქანების მარკებში.

ქალაქების ქუჩებსა და გზებს დიდი ხანია ავტომობილი დაეპატრონა. მაგრამ იცით თუ არა, რომ პირველი ავტობუსი მოსკოვში მხოლოდ 1924 წელს გამოჩნდა? მთელ ქალაქში მაშინ მხოლოდ 8 ავტობუსი იყო და ყველა დადიოდა ერთი მარშრუტით — ცენტრიდან — სადგურამდე.

დღეს კი, არა თუ მოსკოვში, ჩვენს დედაქალაქშიც კი ათასობით ავტობუსი, ტროლეიბუსი და ტრამვაი მოძრაობს. ამას მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანებიც ემატება. რა იქნება უახლოეს მომავალში? რა თქმა უნდა, ავტომანქანების რაოდენობა მოიმატებს და მოძრაობა ქუჩებსა და გზებზე უფრო გართულდება. აბა დახედეთ საათს და დაუკვირდით, რამდენ ხანშია — ვა 22 წამი. ცოტაა? აი, დროის ამ მცირე მონაკვეთში ვოლუსკის ავტომანქანის კონვეიერიდან, რომელიც ქ. ტოლიატში მდებარეობს, თითო ახალი „ჟიგული" ჩამოდის. ყოველდღიურად კი — 2230 ავტომანქანა, ისინი სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში იგზავნებიან და ავსებენ ქუჩებისა და გზების სავალ ნაწილს. ქუჩები და გზები შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს ყველასათვის, ვინც არასწორად მოძრაობს მათ სავალ ნაწილზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც და თქვენი მეგობრებიც შესანიშნავად ერკვევით მსუბუქი ავტომანქანების მარკებში. არც ერთ თქვენთაგანს არ შეეშლება „მოსკვიჩი" „ჟიგულში" ან „ვოლგა" „ზაპოროჟეცში". ჰო, მაგრამ, სატვირთო და სპეციალური ავტომანქანები? ჩვენი საავტომობილო წარმოება ხომ ათობით სახის ამგვარ მანქანას უშვებს სხვადასხვა ტვირთის გადასაზიდად, სხვადასხვა ხასიათის სამუშაოს შესასრულებლად.

ყველაზე მეტი, ჩვენს გზებზე, რა თქმა უნდა, თვითმცლელები დადის. მათ რკინის ძარა აქვთ, რომლითაც გადააქვთ ქვა, სილა და სხვა ტვირთი. მიიტანს ასეთ ტვირთს თვითმცლელი დანიშნულების ადგილზე, მძღოლი გადასწევს სახელურს, ძარა აიწევა და ტვირთი გადმოიყრება. ისეთ ადგილებში კი, სადაც მადნეულს ამუშავებენ და დიდი რაოდენობის მიწის სამუშაოები სრულდება, გიგანტური თვითმცლელები მუშაობენ, ასეთი თვითმცლელის თითო ბორბალი ადამიანის სიმაღლეა და ზოგჯერ მეტიც, ისე რომ, მძღოლი კაბინაში რკინის კიბით ადის. ასეთ თვითმცლელებს — „ბელაზებს" მინსკის ავტოქარხანა უშვებს. მათ ძარაზე თავისუფლად ეტევა სამოცდათხუთმეტი ტონა ტვირთი, თითქმის მთელი ვაგონი ქვა, სილა ან მიწა, ხოლო მძღოლის კაბინის თავზე ფოლადის სქელი დამცველი ფარია მოწყობილი, რათა ექსკავატორიდან უცაბედად ჩამოვარდნილმა ქვამ მძღოლი არ დააზიანოს.

ახლა მინსკის ქარხანა გამოსაშვებად ამზადებს უფრო დიდი ტვირთამწეობის ავტომანქანას, რომელიც თავისუფლად გადაიტანს ას ოთხმოც ტონა ტვირთს. ერ-

ში ასეთი თვითმცლელი ოცდათექვსმეტ ხუთტონიან სატვირთოს შეცვლის.

ასეთ თვითმცლელებს რა თქმა უნდა, დაბალი სიჩქარე აქვთ, ზოგიერთ შემთხვევაში კი საჭიროა დიდი ტვირთის სწრაფად გადატანაც... დროულად და შორ მანძილზე ტვირთის გადასაზიდად საჭიროა ჩქარი სატვირთო ავტომანქანები. ჩვენს ქვეყანაში, მდინარე კამის მახლობლად, ნაბერეჟნიე ჩელნიში აშენდა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ავტოქარხანა. მისი გამოშვებული სატვირთო მანქანები, რომლებსაც „კამაზებს" უწოდებენ, სიჩქარეში მსუბუქ ავტომანქანებს არ უდებენ ტოლს. „კამაზებს" შეუძლიათ ოცი ტონა ტვირთი საათში ოთხმოცდაათი კილომეტრი სიჩქარით გადაიტანონ.

გარდა დიდი და მცირე თვითმცლელებისა, გვაქვს უამრავი სხვა დანიშნულების სატვირთო ავტომანქანებიც. თუ რა ტვირთი გადააქვთ ავტომანქანებს, რომლებსაც აწერიათ „რძე", „ფქვილი", „ცემენტი", წარწერიდანვე ჩანს. ეს ავტოცისტერნები ისეა მოწყობილი, რომ ტვირთს ავტომატურად „აბარებენ" მომხმარებელს სპეციალური შლანგებისა და სხვა მოწყობილობების საშუალებით.

რაიონებსა და სოფლებში ხშირად შეგხვდებათ ავტოფურგონი, რომელსაც აწერია „ავტოფარდული". გარეგან ეს ჩვეულებრივი უფანჯრო ფურგონია, ისეთი, რომლითაც პური გადააქვთ. შიგნით კი მოსახლეობისათვის საჭირო სხვადასხვა საქონელია. ასეთივე ფურგონით გადააქვთ შორეულ სოფლებში თუ მთებში, მწყემსებთან გასაყიდი წიგნები თუ ბიბლიოთეკები, კინოდანადგარები და ყველაზე პატარა მაყურებლებისათვის, თოჯინების თეატრიც კი.

ძალზე საინტერესოდაა მოწყობილი თვითდამტვირთავი ავტომანქანები, რომლებითაც გადააქვთ კონტეინერები — ოთხკუთხედი რკინის ყუთები ტვირთით. ასეთი ავტომანქანის მძღოლს დამხმარე არ სჭირდება, გააჩერებს თავის სატვირთო მანქანას კონტეინერებთან, დაუდგება ძარასთან და სპეციალურ ღილაკებს თითს დააჭერს. ავტომანქანაზე დადგმული ამწე კი თვითონ ავტომატურად ჩამოუშვებს თავის რკინის „ხორთუმს", ჩაებამს კონტეინერს რკინის კავს, ასწევს და ავტომანქანის ძარაზე დადებს.

გამოზაფხულდება თუ არა, ქალაქის ქუჩებში ადრე დილით გამოჩნდებიან ხოლმე ავტომანქანა — დამსუფთავებლები. ისინი ასფალტს მავთულის მრგვალი ცოცხებით წმენდენ და მოგროვილ მტვერსა და სხვადასხვა ნარჩენებს თვითონვე ყრიან ძარაზე დადგმულ ბუნკერებში. დამსუფთავებელ მანქანებს მიჰყვებიან ქუჩის მომრწყველი ავტომანქანები, რომლებიც წყლის ძლიერი ჭავლით რეცხავენ ქუჩის ზედაპირს.

ავტომანქანების ყველა ნაირსახეობის ჩამოთვლაც კი ძნელია. სადაც სახლებს აშენებენ, იქ ყოველთვის შეიძლება ნახოთ ავტომანქანები, რომლებსაც თავიანთი გრძელი პლატფორმებით გადააქვთ სახლის ასაშენებლად საჭირო მზა პანელები, ზოგ შემთხვევაში კი მზა კედლებიც, რომლებშიც უკვე ჩაყენებულია კარ-ფანჯრები.

ზოგ სატვირთო ავტომანქანას ქარხნებიდან წყალსაცავებზე გადააქვს მზა იახტები თუ ნავები. ძალზე მძიმე ტვირთის გადასატანად იხმარება ტრაილერები. ისინი შედგებიან ორი ან სამი ნაწილისაგან. წინ მიდის საწევარა. ზედ დაყენებულია მძლავრი ძრავი და მძღოლის კაბინა. საწევარას უბამენ უზარმაზარ დაბალ პლატფორმას, რომელსაც რვა, ზოგჯერ კი თორმეტი მსხვილი ბორბალიც აქვს. ასეთ პლატფორმაზე შეიძლება დაიდოს დიდი ტრაქტორი.

ყველგანმავალი-ამფიბია თითქმის არ განსხვავდება სხვა ავტომანქანებისაგან ზომითა და სიმძლავრით. სამაგიეროდ, იგი შეუცვლელია ჭაობიან ადგილებში და იქ, სადაც გზაზე ზდინარის მრავალი განშტოება გვხვდება. ამ ავტომანქანის ბორბლები განიერია და არ იძირება ძალზე დაჭაობებულ ადგილებშიც კი. მიუახლოვდება ავტომანქანა-ამფიბია მდინარეს და თამამად შედის წყალში. სპეციალური მოწყობილობა ავტომატურად მაღლა სწევს საბურავებს და ბრუნვას იწყებს სპეციალური პროპელერი, ისეთივე, სამდინარო გემებს რომ ამოძრავებს. კორპუსი კი ისეა მოწყობილი, რომ ავტომანქანა-ამფიბია წყალში არ იძირება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, გვხვდება სპეციალური დანიშნულების ავტომანქანებიც. რა თქმა უნდა, გინახავთ „სასწრაფო დახმარების" ავტომანქანები. მათ რომ მოძრაობისას ხელი შეეშალოთ, დაუშვებელია, რადგან, თუ რამდენად სწრაფად მივა ექიმი გამოძახებაზე და რამდენად ჩქარა მიიყვანს საავადმყოფოში ავადმყოფს, ამაზე ხშირად ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული.

ყველასათვის ცნობილია სახანძრო ავტომანქანის დანიშნულება. არც ამ მანქანის შეყოვნება შეიძლება, ყველამ გზა უნდა დაუთმოს, ეს გასაგებიცაა. სადღაც ხანძარია და სახანძრო რაზმი უბედურების ასაცილებლად მიიჩქარის.

კიდევ მრავალი სახეობის ავტომანქანებს შეიძლება შეხვდეთ ჩვენი ქვეყნის ქუჩებსა და გზებზე. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ჩვენი კონსტრუქტორები განუწყვეტლივ მუშაობენ უკვე არსებული ავტომანქანების გასაუმჯობესებლად, ქმნიან ახლებს. ასე რომ, სანამ თქვენ წამოიზრდებით, საავტომობილო პარკს კიდევ მრავალი ჭკვიანი და საჭირო ავტომანქანა შეემატება, რომლებიც ადამიანს მძიმე ფიზიკურ შრომას გაუადვილებენ.

აი, ჩვენი საუბარი დასასრულს მიუახლოვდა. თქვენ გაეცანით საგზაო ნიშნებს, ავტომობილების ზოგიერთ ნაირსახეობას, მოძრაობის ელემენტარულ წესებს, უფრო სწორად, საგზაო მოძრაობის წესების ძალზე მცირე ნაწილს. როცა წამოიზრდებით, რა თქმა უნდა, ყოველივე ამის უფრო დაწვრილებით შესწავლა მოგიწევთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
ზოთა ინწკირველი

იცნობდეთ — ბექა კვარაცხელია!

შარშან თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალში წარმატებით იასპარეზა მე-2 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მოსწავლემ, 12 წლის ოსტატობის კანდიდატმა ბექა თეიმურაზის ძე კვარაცხელიამ. ნიჭიერი უმაწვილის შემოქმედებიდან გთავაზობთ გამოცდილ ოსტატობის კანდიდატ ემილ მიქაელიანთან ნახევარფინალში მოგებულ პარტიას.

კვარაცხელია-მიქაელიანი (ბენონის დაცვა. თბილისი, 1987 წელი, 19 ოქტომბერი). 1. d4 ∅f6 2. c4 c5 3. d5 g6 4. ∅c3 ♗g7 5. e4 d6 6. ♗e2 0—0 7. f4 e6 8. ∅f3 ed 9. cd a6 (უმჯობესი იყო 9... b5, 9.. ♕e8, 9... ♗g4) 10. a4 ∅bd7 (10... b6 11. 0—0 ♕e8 12. e5 de 13. fe ∅g4 14. e6 fe 15. ♗c4 ± თეთრების უპირატესობით. ზაიცევი-ნურმამედოვი, 1961). 11. 0—0 ♖c7 12. h3 (შეიძლებოდა 12. e5!?) 12.... c4 13. ♗e3 ♕e8 14. e5 de 15. fe ∅:e5 16. ∅:e5 ♕:e5 17. ♗f6 ♖d8 18. ♗f4 ♕e8 19. ♗:c4 (ფორსირებული ვარიანტი დამთავრდა და პოზიცია გამოირკვა თეთრების სასარგებლოდ. d6 გამხვლელი პაიკი განაპირობებს მათ ტერიტორიულ უპირატესობას, რასაც ნორჩი მოჭადრაკე ოსტატურად იყენებს). 19... ♗e6 20. ♗:e6 ♕:e6 21. ♖f3 ♖d7 (თუ 21... ♖b6, მაშინ 22. ∅gh1 ♖:b2 23. ♕ab1 და 24. ♕:b7) 22. ♕ac1 ♕f8 23. ∅gh1 ∅h5 24. ♗h2 ♕f6 25. ♖d5 ♕:f1 26. ♕:f1 ∅f6 27. ♖g5 ♖e6 28. ♖c5 ♕c8 29. ♖b4 ♖d7 30. ♗e5 ∅e8 31. ♗:g7 ∅g:g7 32. ♖d4 f6 33. ∅e4! ♕d8 34. ∅:f6 ∅:f6 35. ♕:f6 ∅g8 36. ♖d5 ∅g7 37. ♕e6! ∅f8 38. ♖f3 (შეიძლებოდა 38. ♕e7. თეთრები ირჩევენ გამარჯვების უმოკლეს გზას). 38... ∅g8 39. ♕e7 ♖f5 40. ♖b3 (იგებდა 40. ♖f5-იც, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, თეთრების არჩეული გზა უფრო ზუსტია) 40... ∅f8 41. ♖c3! ♖f1 42. ∅gh2 ♖f4 43. ∅g1 მიქაელიანი დანებდა.

ზურაბ აზმაიფარაშვილი

ბათუმი. 1973 წლის ზაფხული. 13 წლის ზურაბ აზმაიფარაშვილმა პირველად გაიმარჯვა ხაქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატში და გახდა ოსტატობის კანდიდატი, 1978 წლის იანვარში კი ქართველთაგან პირველმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა ჭაბუკებში. ამჟამად ზურაბი საერთაშორისო ოსტატია, აქვს დიდოსტატის ერთი ბალი. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მან მრავალგზის მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა.

1977 წლის 27 თებერვალს 16 წლის ზურაბ აზმაიფარაშვილმა ჭადრაკის სახახლისა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეხვედრაში შექმნა მშვენიერი ნაწარმოები (იხ. აგრეთვე ბურჭულაძე-აზმაიფარაშვილი. „პიონერი", № 1, 1974 წელი).

ბ. მაჭარაშვილი (ჭადრაკის სახახლე. ოსტატობის კანდიდატი) — **ზ. აზმაიფარაშვილი** (ახალგაზრდული ნაკრები. ოსტატობის კანდიდატი). ინგლისური დასაწყისი: 1. c4 e5 2. ∅c3 ∅f6 3. g3 ♗b4 4. ♗g2 0—0 5. ∅f3 ♕e8 6. 0—0 e4 7. ∅e1 ♗:c3 8. dc d6

შავებმა დებიუტის შედეგად მიიღეს თანასწორუფლებიანი თამაში (პეტროსიანი-კორჩნოი. თბილისი, 1976). 9. ∅c2 ∅bd7 10. ∅e3 ∅e5 11. h3?! (საეჭვო სვლაა. ახუსტებს მეფის პოზიციას. სჯობდა 11. b3). 11... ♗d7 12. ♖c2 (აქაც სჯობდა 11. b3. თეთრებმა კონტრთამაში d5 ფორპოსტის დაკავებასა და c5-ის განსორციელებაზე უნდა ააგონ). 13. ∅g4 ♗:g4 (თეთრები მხოლოდ ფიგურებს ავითარებენ. მათი თამაში უგეგმოა, მოკლებულია მიზანდასახულობას). 13.. ♕e8 (შავები სარგებლობენ სივრცით და ფიგურები მეფის ფრთაზე გადაჰყავთ). 14. ∅gh2 ♕h5 (უკვე შეიქმნა 15... ♗:h3! მუქარა) 15. f3?

საბედისწერო შეცდომაა. აუცილებელი იყო 15. ♕h1, რომლის შემდეგ შავები დიდ უპირატესობას ინარჩუნებდნენ, მაგრამ რაიმე ფორსირებული გაგრძელება არ ჩანს.



15... ♗:h3!! ♖c (16. ♗:h3 ♖d7 17. g4 ∅f4! 18. gh ♖:h3 19. ∅g1 ♖g3! 20. ∅gh1 ♖h4 21. ∅g1 ∅:e2 22. ∅g2 ♖g3 23. ∅gh1 ♖h3X.

ეს მახვილგონივრული ვარიანტი შავების მე-15 სვლის ხაფუძველია. ეს ვარიანტი, რომელიც „კულისებში" დარჩა, პარტიის სიმდიდრეა, ზედმიწევნით ხაინტერესო და ხასწავლო მომენტია). 16.. ♖d7! (ყველაზე ზუსტი გაგრძელებაა,

ორი მკვეხარა

1-ლი მ კ ვ ე ხ ა რ ა: ერთხელ, როცა აფრიკაში ვიყავი, ლომი შემომეფეთა. თოფი ხელთ არა მქონდა, ავიღე ერთი ვედრო წყალი და ცხვირ-პირში შევასხი. ლომი დაფრთხა და გაიქცა.

მ ე-2 მ კ ვ ე ხ ა რ ა: მართალია, სწორედ იმ დროს მეც აფრიკაში ვიყავი, ის ლომი შემხვდა და როცა თავზე ხელი გადავუსვი, ჯერ კიდევ სველი იყო.

გამოცანა

„ჯიმ", — უთხრა ერთხელ ბილმა თავის მეგობარს, — „შეგიძლია დამისახელო კვირის 6 დღე ისე, რომ არ დაასახელო კვირა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი ან შაბათი?"

ჯიმმა ვერ შეძლო პასუხის გაცემა.

მაშინ ბილმა აუხსნა: "6 დღე, რომლის შესახებაც მე გკითხე, შემდეგია: გუშინწინ, გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ და მაზეგ".

გამოსავალი

ექიმს ვიღაც კაცმა დაურეკა და უთხრა, თქვენმა პატარა ვაუმა ავტოკალამი გადაყლაპაო.

„ახლავე მოვალ, მაგრამ რა ზომებს იღებთ ამჟამად?" — ჰკითხა შეშფოთებულმა ექიმმა.

„ფანქარს ვხმარობ", — მიუგო კაცმა.

მღებავის განცხადება

„ეს-ესაა, მოვრჩი ჰერის შეღებვას. ფრთხილად იყავით, გეთაყვა, ნურავის დართავთ ნებას, რომ ზედ გაიაროს".

კეთილი რჩევა

ერთ ზამთრის დღეს, როცა მასწავლებელი ზურგით იდგა ბუხართან, გადაწყვიტა, გაკვეთილის დაწყებამდე რჩევა მიეცა მოსწავლეებისათვის:

„ხანამ რამეს იტყოდეთ, ჯერ დაფიქრდით; თუ რაიმე მნიშვნელოვანის თქმა გსურთ, დათვალეთ 50, ხოლო თუ უფრო მნიშვნელოვანისა — 100, და მხოლოდ ამის შემდეგ თქვით", — დაარიგა ბავშვები მასწავლებელმა.

მოსწავლეთა ბაგეები ერთდროულად ამოძრავდა და უეცრად ყველამ ერთად წამოიძახა: „99, 100! მასწავლებელო, თქვენი ფრაკის ბოლოებს ცეცხლი უკიდია!"

თარგმნა ნაზი მიქელაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც პერსპექტივაში შეტევის შესაძლებლობებს ინარჩუნებს — უფრო ობიექტური და უმოკლესი გზაა, ვიდრე პაიკის მოგება 16.. კg4 სვლით). 17. ეh1 მg4 18. მფg1 მ:e3 19. კ:e3 ლg4 20. კf2 კ:g2 21. ე:h5 (არ ვარგა 21. მფ:g2 მf4 22. მფg1 ე:h1 23. მფ:h1 ლh3 24. მფg1 ლg2X) 21... კ:e4 22. ეg5 ლe6! თეთრები დანებდნენ ლh3 გარდაუვალი მუქარის გამო.

ბრწყინვალე პარტიაა — საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონის შესაფერისი!

ძართული ჭადრაკის წარსულიდან

საინტერესო პარტია გათამაშდა 1950 წელს ზუგდიდის ვაჟთა პირველობაზე. თეთრებით თამაშობდა მეთერთმეტე კლასის მოსწავლე, მეორეთანრიგოსანი რეზო ბერულავა (ამჟამად — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მოდერნიზაციის განყოფილების გამგე).

ბერულავა — ხორავა (იტალიური პარტია). 1. e4 e5 2. კc4 კc5 3. მf3 მc6 4. c3 მf6 5. ლe2 0—0 6. 0—0 d6 7. h3 მe7 8. d3 h6 9. მh2 მg6 10. მფh1 a6 11. b4 კa7 12. კe3 b5 13. კb3 c6 14. მd2 ლe7?! (სჯობდა 14... d5 ცენტრში კონტრთამაშის წამოწყებით). 15. d4 ed? (ცენტრის გაუმართლებელი დათმობაა. აქ სჯობდა 15... c5 სვლით თეთრებზე ზეგავლენის მოხდენა ცენტრში პოზიციის გამოსარკვევად: 16. d5 მf4 17. კ:f4 ef 18. ლf3 ლe5 შავების უპირატესობით. 16 bc dc 17. d5 მe8, მd6 და პაიკი ბლოკირებულია (ცნობილია, რომ მხედარი საუკეთესო ბლოკერია). 16. d5-ზე შავებისათვის არ ვარგა ერთი შეხედვით კარგი გაგრძელება 16... c4 17. კc2 a5, რაზედაც თეთრები უპასუხებენ 18. a4! და ლაზიერის ფრთაზე ხაზები იხსნება თეთრების სასარგებლოდ). 16. კ:d4 d5? (ასეთი სვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ იწვევს მეტოქის ცენტრის დასუსტებას — გაცვლით ან e4—e5-ის შემდეგ დაფის მარჯვენა მონაკვეთზე პაიკთა რიცხობრივი უპირატესობის ბლოკადით). 17. e5 კf5 18. a3 მd7 (წინააღმდეგობის მეტ შანსებს იძლეოდა 18... ეfe8. მაგალითად, 19. ეae1 კb8 20. f4 მe4 21. მ:e4 კ:e4 22. კc2 კ:c2 23. ლ:c2 ლh4 და თუ ახლა 24. ლf2, მაშინ 24... ლf2 25. ე:f2 f6! თუ 24. ლd2 კc7 და შავები ჯერჯერობით თითქოს ახერხებენ მეფის ფრთაზე თეთრების უპირატესობის ნეიტრალიზებას. თუმცა... 25. კe3! და მh2—f3—d4 თეთრების უპირატესობით). 19. f4 კ:d4 20. cd მb6 21. g4! კd7 22. f5! მh8 23. f6! gf 24. ე:f6 მg6 25. კc2 მფg7 26. ეaf1 კe6 27. მhf3 ეh8 28. კ:g6 fg 29. მh4 g5 30. ეg6 მფh7 31. ე1f6! შავები დანებდნენ.

1946 წელი, ქალაქ მახარაძის ვაჟთა ჩემპიონატი. თეთრებით თამაშობს მესამეთანრიგოსანი, მეათეკლასელი, ხოლო შავებით — მეორეთანრიგოსანი, სპორტსაზოგადოება „კრასნოე ზნამიას“ საქართველოს ჩემპიონი გივი ლომაძე.

ლომაძე

ინწკირველი

მეფის ფრთაზე შექმნილია წარმატების აუცილებელი პირობა — ძალთა უპირატესობა. პოზიცია ცნობილი წესის — მეფეზე შეტევაში ყველა ფიგურის ჩაბმის — კარგი ილუსტრაციაა. შემდეგი კომბინაცია პოზიციური უპირატესობიდან გამომდინარე და მისი კანონზომიერი დაგვირგვინებაა:

32. კ:h7!! მ:h7 33. ლ:e6 მფh8 34. ლ:d7! (34. ლe8 ლf8!) 34... ლf8 35. კ:g6 [illegible] ვები დანებდნენ.

„პიონერის“ მკითხველებს ამოსახსნელად ვთავაზობთ პოზიციებს:

1. თეთრები: მფh1, ლg6, ეa1, ეf1, კa3, მe4, e5, პ—a4, b2, c2, d3, g2, h2 (13);

შავები: მფf8, ლd5, ეe8, h8, კb6, e6, მe7, g8, პ—a6, b7, c7, f7, g7, h6 (14);

შამათი 2 სვლაში.

2. ეს პოზიცია შეიქმნა პირველი თანრიგის მოსაპოვებელ ტურნირში (ჭადრაკის სასახლე. 1987 წლის 4 დეკემბერი). შავებითაა შეჯიბრების ლიდერი, 1-ლი საშ. სკოლის მეცხრეკლასელი ეკა ახსიაშვილი.

ახსიაშვილი



გარსევანიშვილი

ამ პოზიციაში ტაქტიკური დარტყმით მიიღწევა გადამწყვეტი მატერიალური უპირატესობა.

ველით თქვენს პასუხს.

ფრინველთა „ქალაქი“

ინგლისის სამხრეთში, ქალაქ ბიგბერიონ-სის მახლობლად მდებარე კუნძული ბარე ცნობილია ფრინველთა ნაკრძალით, ლამაზი მინდვრებითა და სასტუმროთი, რომელშიც 30-იან წლებში ხშირად ჩამოდიოდა ცნობილი მწერალი ქალი აგათა კრისტი. სწორედ ამ ადგილებში დაწერა მან თავისი ორი წიგნი.

უკანასკნელ ხანს კუნძული ეკოლოგიურად სუფთა ზონად გამოცხადდა. მანქანებსა და მოტორიან ნავებს აქ არ უშვებენ. ზღვის უკუქცევისას გაშიშვლებულ ფსკერზე ფეხითაც შეიძლება ნაკრძალამდე მისვლა, მოქცევისას კი ერთადერთი სატრანსპორტო საშუალებაა „ზღვის ტრაქტორი“, რომელიც საათში 5 კმ სიჩქარით მოძრაობს.

მოჩხუბარი მამალი

ხშირად ახლაც წააწყდებით ხოლმე ზოგიერთი ეზოს ჭიშკარზე წარწერას: „ეზოში ავი ძაღლია!“ დასავლეთ გერმანიის ქალაქ მოსბაჰის სასაუზმის მფლობელმა კი ასეთი წარწერა გააკეთა: „ფრთხილად, ავი მამალია!“ საქმე ისაა, რომ ბრაზიანმა ფრინველმა მწარედ დაკორტნა ეზოში შემოსული რამდენიმე ადამიანი.



● სახურავის სატელევიზიო ანტენაზე ხშირად სხდებიან სხვადასხვა ფრინველები — ყვავი, კაჭკაჭი, მტრედი... ზოგჯერ მათი სიმძიმე სავსებით საკმარისია ვიბრატორის გასაღუნად. თუ ანტენის თავზე პროპელერიან ფლუგერს მოაწყობ (ხისას ან პლასტმასისას), იგი ტელეგადაცემის მიღებას ხელს არ შეუშლის, ანტენასაც საიმედოდ დაიცავს და ქარის მიმართულებასაც გაჩვენებს ხოლმე.

● თუ ველოსიპედი გაქვს, უთუოდ ჭკუაში დაგიჯდება ჩვენი რჩევა: პატარა სარკე პლასტირით ალუმინის კუთხედს მიამაგრე, კუთხედი კი, თავის მხრივ, ქუდის პლასტიკატის წინაფრას დაანრახნე. ეს მინისარკე, თავადაც მიხვდები, კარგ სამსახურს გაგიწევს ავტომანქანებით გადატვირთულ ქუჩაში მოძრაობისას.

● თუ წყალსადენის მილების შეერთებისას ძენძი შემოგაკლდათ (ზოგჯერ თავად შენ ან ოჯახის რომელიმე წევრს მოგიხდებათ ამგვარი სამუშაოს შესრულება), კევი (საღეჭი რეზინი) დაარბილე. კუთხვილს თხელ ფენად დაადე და თამამად მიახრახნე ქურო.

● მაწვნის ქილის ან ბავშვის რძის ბოთლის რეცხვა დიასახლისს საკმაო დროს ართმევს ხოლმე. აიღე ორგანული მინის ღერო, ოდნავ გაღუნე (ამისათვის ღეროს შეთბობა დაგჭირდება), ბოლოში პოროლონის ნაჭერი შემოაკარი და ძაფი შემოახვიე. ამ ნახელავისთვის უეჭველად დიმსახურებ დიასახლისის მადლობას.

● ცნობილია ორგანული მინის ჭრის ბევრი ხერხი, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში რაიმე ინსტრუმენტის გამოყენებაა ხოლმე აუცილებელი. ამავე დროს, არსებობს სრულიად მარტივი ხერხი — მინის ღირფიტის გაჭრა ძალზე მტკიცე ძაფითაც შეიძლება. ეს ხერხი კარგია იმითაც, რომ შეგიძლია გამოჭრა ნებისმიერი კონფიგურაციის დეტალები.

● თუ ფლუგერის ტრიალას ფრთებს სარკისებურ აფსკს გადააკრავ, ასეთი ფლუგერი უზრუნველყოფს შენი ბაღის დაცვას აბეზარი ფრინველებისაგან—საფრთხობელას როლს ამ შემთხვევაში სწრაფად მონაცვლე მზის ათინათი შეასრულებს.













საძიებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ხარაზიშვილი — თაოსნობა (ნარკვევი) . . . . . გარეკ. 2
ს. შამფრიანი — შენ გაგიმარჯოს!; მეგობრობის გრძნობა; ფიქრები ვაჟას ეზოში; იმრავლონ! (ლექსები) 3
გ. ვარაზანაშვილი — წინაპართა ნაკვალევზე (მოთხრობა) . 4
ი. ბლიაძე, რ. გოჯორიშვილი — შუაზე გაყოფიხ ალგორითმი (წერილი) 10
კოცონი 12
გ. ჭიჭინაძე — ბაღნარში (პიესა) 13
აისი 18
ო. კირობა. — ნიანგების ომი (ზღაპარი) 20
იცი თუ არა, რომ 24
არნ. გეგეჭკორი — ესთეტი ფრინველები (წერილი) . . . 25
ვ. სიდამონიძე — ავთანდილ საკაძე (წერილი) . . . 26
ლ. გელაშვილი — უცნაური თევზები (წერილი) . . . 27
თ. ინასარიძე — შევისწავლოთ საგზაო ანბანი (წერილი) . . 28
მხედრიონი 30
იუმორი 30
ჯადოსნური სარკე 31
გამოგადგები 32
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა თემურ ფხიკიძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეფიროული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 25.12.87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.02.88 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 4,9. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,4; შეკვ. 3007. ტირაჟი 156.000, ეგზ., უე 09217.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4,4; усл. печ. л. 4,9.
Тираж 156000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი", 1988 წ.



თარაზულად: 1. სამახსოვრო ჩანაწერები. დღიური; 5. ძიუდოს სახეობა; 6. მწერი; 8. აფრიკის სახელმწიფო; 10. სიტყვათა წარმოთქმის მანერა; 12. ხმელთაშუა ზღვის კუნძული; 15. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 16. საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის; 17. კავკასიონის მწვერვალი; 19. ბრძოლის მომზადებისა და წარმოების ხერხები; 24. უმაღლესი ხელისუფლების დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს; 28. მატერიკი; 30. რადიოდადგმულობის ნაწილი — გამტარი ან გამტართა სისტემა; 31. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; 32. ქართველი მწერალი.

შვეულად: 1. მზის სისტემის პლანეტა; 2. ფრანგი კომპოზიტორი; 3. მონარქიული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში იმპერატორი უდგას; 4. მოლოდინი, რწმენა; 5. ერთწლოვანი სურნელოვანი სანელებელი მცენარე; 7. ცელქი, მოუსვენარი; 8. ქართველი მსახიობი; 9. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში; 10. გუნდი, კრებული, ჯგუფი; 11. რისამე ამოქმედება, ან მოქმედების გაძლიერება; 13. ღიად დატოვებული სივრცე ნაგებობაში; 14. ყველა გემის ერთობლიობა; 18. გამოდნობის შედეგად მიღებული ლითონის მილიანი ნაჭერი; 20. ერთხმიანი სიმღერა; 21. ხუთხაზიანი სანოტო სისტემის შემაერთებელი ხაზი; 22. დიპლომატიური წარმომადგენელი; 23. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 25. წოდებულება, ხარისხი, ტიტული; 27. ჩეხოსლოვაკიის საავტომობილო ფირმა; 29. ბავშვების სათამაშო — ძაფზე გამობმული ქაღალდის ფურცელი ან ქსოვილის ნაჭერი, რომელზეც ხის თხელი ფირფიტებია დაკრული.

შეადგინა
ბ. ჟურდოვანიძემ

შარადა

რომ არ შეჯდა იგი ხესა
და არ იყო გვარი მისი,
იმ ფრინველის წინა ოთხი
ბგერა გახლავს საკმარისი.
თუნდ მისი და თუნდ აქლემის
ქურდი ორივ ერთი როა,
მასაც წინა მარცვალი რომ
მოაცილო, უკვე დროა.
სათითაოდ გაჩარხული
ნაწილები ერთურთს ერთვის.—
სალამური ააკვნესა,
ვინ იქნება, მითხარ ერთი?

ანაგრამები

ერთი სიტყვით როგორ ითქმის:
„ვინმესათვის ავის მდომი"?
ხმოვანს ადგილს თუ გაუცვლის
თანხმოვანი, გვერდით მდგომი,
მაშინ იგი, ჩემო კარგო,
გახლავს სიგრძის გასაზომი.

●

თუ თავში გადაასკუპებ
ამ სიტყვის ბოლო მარცვალს,
მაშინვე ჭუკილს დაიწყებს,
საოცარია მართლაც!

შ. ამირანაშვილი

გამოცანები

თავსატეხი



თუ თქვენ ცარიელ ჰორიზონტალურ გრაფებში ჩაწერთ, როგორი უნდა იყოს თქვენი მასწავლებელი, მაშინ ვერტიკალურ წითელ გრაფაში მიიღებთ თქვენთვის საყვარელ სიტყვას — მასწავლებელი.

ა. გორგიშვილი

ლოყები — წითელ-წითელი,
ზედ კიდევ — შავი ხალები.
მოვლენ და გაიტაცებენ
მინდვრად შეშლილი ქარები.

●

გარეთ — ბროლის გალავანი,
შიგნით — გზაა დაკიდული,
არც კარი აქვს, არც სარკმელი,
ციხე არის ცხრაკლიტული,
არემარეს აცისკროვნებს,
სიცხისაგან გახვითქული.

მ. ხარიტონაშვილი

●

ჯერ მწვანე ვარ, წითელიც,
მერე სწრაფად ვშავდები.
შემოდგომით შემოვალ
და ზამთარში ვთავდები.

●

ცხოველია უვნებელი,
უწყინარი, ჭკვიანი,
სიკვდილის წინ ისე ტირის,
როგორც ადამიანი.

ალ. ნამორაძე

ამ გამოცანის ამოხსნა,
მგონი, არ გაგიძნელდება;
თუ დავახურე — ივსება,
ავხდი და — ცარიელდება.

●

აფრა არა აქვს, — ცურავს,
უფეხოდ მირბი-მორბის,
უფრთოდ დაფრინავს ისე,
ვერ დაეწევა ორბიც.

●

მეც მოვხიბლულვარ იმისი
საინტერესო ქცევით:
დასცხება — ზევით მიცოცავს,
შესცივდება და — ქვევით.

●

მკვახეს მივირთმევთ კარგად,
მწიფე არაფრად ვარგა.

●

უსათუოდ გამოიცნობ,
გრამატიკა იცი რაკი:
წაღმა შორისდებულია,
უკუღმა კი — ნაწილაკი.

ნ. მარიხია

პასუხი № 1-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

კროსვორდი

'ყვეულად: 1. დღე; 2. ზებრა; 3. რკო; 5. მაიმუნი; 7. ბულბული; 11. ნიანგი; 14. ექო; 15. ენა.

თარაზულად: 4. მძიმე; 6. ობობა; 8. გზა; 9. უთო; 10. ციცინათელა; 12. ზარი; 13. თონე; 15. ელვა.

მეტაგრამები

ღილი, მილი;
დიკა, დეკა;
ჩირი, წირი;

გამოცანა

ჩაი.

შარადა

რიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 20 ლარ.

ინდექსი 76157

თავფარავნელი ჭაგუაი

მხატვარი იოსებ სამსონაძე